ოთვლკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 20 5 ოქტომბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: საამკვირაოთ.—ქარი ჰკრის (ლექსი), დ. თურდოსპირელისა.—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი. — სპარსეთი.—ბალკანეთი.—სტუდენტთა მოძრაობა: წერილი ოდესიდან, არიფისა.—დედას (ლექსი), ვანელი ბაგრატასი.—მაღალს წრეში (პიესა), ბანისა.—თვალსაჩინო სწავლება, ობჩელისა. — პროვინცია.—სომეხთა შორის.—დედა, როგორც აღმზრდელი, ჰენრიხ შულცესი.—ღია წერილი, ოსისა.—განცხადებანი.

საამკვირაოთ.

Amicus Plato, sed magis amica veritas. *)

გაზ. „ეკალის“ ხელმძღვანელნი განაგრძობენ „კამპანიას“ ჩვენს წინააღმდეგ.

უკანასკნელ მეთაურში ჩვენ ვამტკიცებდით, რომ „ეკალის“ მეთაურები მხოლოთ თავის გაუგებრობასა და პოლიტიკურ უმწიფრობას ამჟღავნებენ, როდესაც ეგინი „ჩვენი კვალის“ ჯგუფში ხედავენ ბერნშტეინიანობას, ნაციონალიზმს, იმპერიალიზმს, “პანქართველიზმს“ და სხვა ათასგვარ ვაებას. გაზ. „ეკალი“ ისევ თავი-

*) „პლატონი ჩემთვის ძვირფასია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო ძვირფასი არის“.

სას გაიძახის და რადგან საპირო საბუთებს მაინც ვერ პოულობს ჩვენს წერილებში, იგი სიხარულით ჩაფრენია ერთ ღია ბარათს, რომელიც მოთავსებული იყო „ჩვენი კვალის“ წინა №-ს უკანასკნელ გვერდზე.

ამ ღია ბარათის ავტორი, Artemins აცხადებდა, რომ იგი მზათ არის თავისი ცოდნა და ენერგია მიაშველოს იმათ, ვინც მოიწადინებდა ოსმალეთის ქართველებისათვის დახმარება აღმოეჩინა დღევანდელ პასუხსაგებ მომენტში. იგი თავის მხრივ ასახელებდა, რომ საპირო იქაურ ქართველებისათვის ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა და ქართულ წერა-კითხვის გავრცელება. ამ ღია წერილს ჩვენს ორგანოში ადგილი დაუთმეთ, რადგან თანავუგრძნობთ აღნიშნულ საქმეს და არც გვეგონა, თუ ჩვენში ვინმე, რომელიმე პოლიტიკურ პარტიის მიმდევარი წინააღმდეგი იქნებოდა, ოსმალელ ქართველებს დახმარება მიეცეთ, სამშობლო ენაზე წერა-კითხვის გავრცელებისა და პოლიტიკურათ გამოფხიზლების საქმეში. მაგრამ აი, ყოფილა მთელი გაზეთი, რომელიც ამ დახმარების წინააღმდეგ სასტიკათ ილაშქრებს, რადგან მას აქაც ელანდება „პანქართველიზმი“... „პანქართველიზმი“... მკითხველთან ბოდიშს ვიხდით, რომ ვახსენებთ ისეთ პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც დღევანდელ საქართველოში—და მით უმეტეს სადმე დედა-მიწის ზურგზე— არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. „პანქართველიზმი“ მხოლოთ „ეკალის“ ფანტაზიის—ნაციონალიზმის შიშით დაავადებულ— ფანტაზიის ნაყოფია.

ამ შიშს შეუპყრია „ეკალის“ მეთაური ⁂ სახუმროთაც არ შეუპყრია. მას ვითომ ეშვიც არ აქვს, რომ „ცენტრი (ნაციონალიზმისა) რასაკვირველია, „ჩვენი კვალის“ ჯგუფი იქნება“ და აბა რაღა გასაკვირია, თუ იგი „თოფ-ზარბაზანს“ ამ „ცენტრს“ უმიზნებს და გადარჩენილ, ერთ მუჭა ტყვია-წამალს სწორეთ „ჩვენი კვალის“ წინააღმდეგ აბოლებს.

იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს ორგანო ვითომ „ღალატობს კლასობრივ პრინციპს“, ვითომ „ჩვენ კვალში“ დაბუდებულა ნაციონალიზმი, იმპერიალიზმი, შოვინიზმი და სხ., გაზ. „ეკალს“ კვლავ ჩვენი წერილები. დანაც ამოულაგებია „საბუთები“, ე. ი. ჩვენთვის მოუხვევია ისეთი აზრები, რაც ფიქრადაც კი არ მოგვსვლია არასოდეს, ჩვენი აზრები კი გადაუბრუნებია უკუღმა, სრულიად დაუმახინჯებია და გამოუფენია უშველებელი ამდა-უბდა. ამ რიგათ ფიქრობს გაზ. „ეკალი“ დაასაბუთოს და გაამართლოს თავის „სახელოვანი“ კამპანია ჩვენს წინააღმდეგ.

„ეკალის“ მეთაურ წერილში (№ 25) მხოლოთ ერთი ადგილია—სადამოჟონო კედლების შესახებ—რომელიც იდეიურ კამათს ემზგავსება. ჩვენც აქედან დავიწყოთ, „ეკალი“-ს ამდა-უბდა კი ბოლოსთვის შევინახოთ, pour labone bouche, (ყელის ჩასაკოკლოზინებლათ).

წინა წერილში გაზ. „ეკალს“ ჩვენ განუმარტეთ, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა შორის არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს საშუალო საუკუნოების კედლები, რაიც მხოლოთ იმ დროინდელ, ფეოდალურ წარმოებას შეეფერებოდა, და რომ დღეს ამ კედლების ნაცვლათ არსებობს მხოლოთ სადამოჟონო და სავაჭრო პოლიტიკა. ეხლა გაზ. „ეკალი“ გამომდგარა და დელიყანდურათ გვეუბნება: „არა, „დიდო“ პუბლიცისტო, „სადამოჟონო კედლები“—ეს რაიმე ფიზიკური საგანი კი არ არის, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, რომელიმე მასალიდან—ხიდან ან ქვიდან აშენებული. ეს გახლავთ მხოლოდ სადამოჟონო და სავაჭრო პოლიტიკის განსხვავება სხვა და სხვა სახელმწიფოებში“.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ თქვენ საკუთარ ხელით დაწერილ, თქვენ საკუთარ სტრიქონებს სადღა გაექცევით? თუ თქვენ თანამედროვე სადამოჟონო და სავაჭრო საზღვრების ფიზიკურ საგნათ წარმოდგენა, ანუ საშუალო საუკუნოების კედლებათ დასახვა სისულელეთ მიგაჩნიათ და ამ კედლების ნაცვლათ მართლა ჰხედავთ მხოლოდ განსხვავებულ სავაჭრო და სადამოჟონო პოლიტიკას, მაშინ თქვენ ისიც უნდა აღიაროთ, რომ ამ თანამედროვე „კედლებზე“ გადადი გადმოდიან არა მარტო იდეები, აზრისა და გრძნობის ნაწარმოებნი, არამედ, აგრეთვე ფიზიკური საგნებიც, ფიზიკურ შრომის ნაწარმოებნი, სავაჭრო საქონლის სახით. ეკონომიურ სფერაში არც ერთ თანამედროვე სახელმწიფოს არ შეუძლიან საკუთარ საზღვრებით შემოიფარგლოს მოქმედების ასპარეზი. მას ძალიან მალე სული შეეხუთებოდა და სწრაფათ დაქანდებოდა დაღუპვისაკენ. ამ სახელმწიფოთა შორის დღეს არსებობს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა.

„კანასკნელი კი თვით უკიდურესათ ჩამორჩენილ სახელმწიფოსათვის აღრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლათ, ნიშნავს კაპიტალისტურ ვითარებაში ჩაბმას და თანამედროვე იდეიურ მოძრაობაში შესვლას. დღეს ყველაფერი, რაც კი დიდათ საყურადღებო დაიბეჭდება ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ თუ სხვა ენაზე, უმალვე ითარგმნება სხვა და სხვა ენაზე და ყველა თანამედროვე ნაციების კუთვნილებათ ხდება. დიახ, თანამედროვე სახელმწიფოთა შორის, მიუხედავათ სადამოჟონო—სავაჭრო საზღვრების, ერთობ მჭიდრო ეკონომიური და იდეიური ურთიერთობა—კავშირი არსებობს, და თუ ეს აგრეა ყველა თანამედროვე სახელმწიფოებისათვის, რატომ უნდა ეოფილიყო საქმე სხვანაირათ რუსეთისა, სპარსეთისა და ოსმალეთისთვის, მით უმეტეს, როცა ეს სახელმწიფ ნიც სავსებით გათანამედროვდებოდენ, როცა აქ დამყარდებოდა კონსტიტუცია, პოლიტიკური და მოქალაქობ ივი თავისუფლებანი?! გაზ. „ეკალის“ ხელმძღვანელმ რომ კიდევ არ გადაჰფიცოს, მოვიყვანოთ მისივე სტრიქონები. ჩვენი ერთი წერილის შესახებ („ჩვ. კვალი“ № 18, მეთაური) იგი ირონიულათ სწერდა

„მაშ, ასე, ოსმალეთ—სპარსეთის მოძრაობა იმითაა მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რომ იქაურ ქართველებს გა-

მოაღვიძებს მათში ეროვნულ თვითშეგნებას შეიტანს და „ნაცი ნალ - კულტურულათ“ შემოგვიერთებს.“ და „ეკალის“ უებრო პუბლიცისტი, განახლებულ ოსმალეთ-სპარსეთ სა და საქართველოს ქართველთა შორის ნაციონ ლ-კულტურულ ურთიერთობა—შეკავშირების შესაძლებლობას მხოლოდ და მარტო ასეთი მოსაზრებით არღვევდა: აღნიშნულ მიზნისათვის აბა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, „რომ ქართველ მაჰმადიანებს სპარსეთ—ოსმალეთის პარლამენტში ექნებათ წარმომადგენლობა, **ისინი ხომ მაინც სხვა სახელმწიფოში იქნებიან, ჩვენსა და მათ შორის სადამოჟნო კედელი იქნება?..** ცხადია, ზემოთ დახატულ გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია ოსმალეთ-სპარსეთის ქართულ პროვინციების სახელმწიფოებრივი შემოერთება“ (იხ. „ეკალი“ № 21, პრესა.)

აშკარაა, რომ აქ „ეკალის“ ხელმძღვანელის წინაშე ერთათ-ერთი მწუხარე ალტერნატივა (არჩევანი) სდგას. მას ან 1) ჩვენ მიერ ხაზგასმული „სადამოჟნო კედელი“ ისე ესმის, როგორც საშუალო საუკუნის კედელი ან როგორც „რაიმე ფიზიკური საგანი, რომელიმე მასალიდან—ხიდან ან ქვიდან აშენებული“ და მაშინ, მისი დანარჩენი მსჯელობა, ღებულობს აზრისა და ლოგიკის ელფერს და ან 2) აღნიშნული „კედელი“ მას ისე ესმის, როგორც თანამედროვე სადამოჟნო-საავაჭრო პოლიტიკა და მაშინ მისი დანარჩენი მსჯელობა ხდება უაზრობათ. მესამე გზა ჩვენი მოკამათესათვის არ არსებობს. მან ამ ორში ერთი უნდა აირჩიოს. რომელს აირჩევს, ეს ჩვენთვის სულ ერთია.

* * *

ჩვენი შენიშვნა „სადამოჟნო კედლების“ შესახებ იმდენათ სწყენია „ეკალს“, რომ იგი ცდილობს თვით ჩვენს წერილშივე აღმოაჩინოს ვეება შეცდომა. იგი განცვიფრებული კითხულობს „სად ამოიკითხა ენა-წყლიანმა პუბლიცისტმა ასეთი ამბავი, რომ რუსეთის კაპიტალიზმი ებრძვის მფარველობითი სისტემას“? შეიძლება ჩვენი წერილის შესაფერი ალაგი „ეკალმა“ მართლაც ვერ გაიგო და ამიტომ განვმარტოთ ხელახლა.

ლაპარაკი არ უნდა, რომ რუსეთის კაპიტალისტები დღეს არამც თუ არ ითხოვენ მფარველობითი სისტემის მოსპობას, პირიქით, ცდილობენ მის უფრო მეტ გაძლიერებას. ასე მაგ., „Тор -Пром. Газ.“ ამას წინათ რუსეთის სადამოჟნო ტარიფს ადარებდა „ფიცრის ლობეს“, რომელზედაც მხოლოთ ზარმაცი ვერ გადახტება“-ო და ითხოვდა „არ დაიზოგოს აგური ისეთ მაღალ კედლის ასაშენებლათ, რომელზედაც ყვავიც კი ვერ გადაფრინდებოდეს“. მზგავსი მოთხოვნები ტარიფებისა და პოშლინების გადიდების შესახებ გაისმის ხოლმე მრეწველთა სიეზდებზეც. ამას წინათ დაარსებული სამხრეთ-რუსეთის მეტალურგიული ტრესტი ითხოვს იმავ სადამოჟნო ტარიფის აწევას. მაგრამ ყველა ამ ფაქტებიდან გინა ის გამომდინარეობს, ვითომ რუსეთის ბურჟუაზია მომხრეა მთავრობის სავაჭრო-სადამოჟნო და საერთოთ ეკონომიურ პოლიტიკის? სრულებითაც არა.

ბიუროკატიულ თვითმპყრობელობის მტაცებლურმა მმართველობამ, როგორც იცით, მრავალი მილიონი ხალხი სისტემატიურ შიმშილობისა და ხოლერის მსხვერპლი გახადა. ამით რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობას სასტიკათ შეეზღუდა შინაური ბაზარი, რაიც მისი განვითარების აუცილებელი საფუძველია. სახელმწიფოს არსებულ პირობებში ბურჟუაზიას დარჩა მხოლოთ ერთი გზა—გარეთ გასვლა, ახალ ტერიტორიაზე გამაგრება, ახალი ბაზრის შოვნა, მთავრობა კი ახალ ტერიტორიის დაპყრობას რაკი ხმლით ვერ ახერხებდა, ისევ „მფარველობითი სისტემას“ უნდა დასწოლოდა. იგი „სამშობლო მრეწველობის“ სასარგებლოთ კარგა ხნიდანვე აწევსებს მაღალ სადამოჟნო ტარიფებსა და პოშლინებს, რაიც, სხვათა შორის,—როგორც „ეკალიც“ შენიშნავს—იწვევს მემამულეების დრტვინვას. მაგრამ არც თვით მრეწველნი რჩებიან კმაყოფილნი, რადგან რუსეთის სადამოჟნო კედლებს მაინც ლახავს უცხოეთის ნაწარმოები და სასტიკ კონკურენციას უწევს რუსეთისას თვით რუსეთშივე. ამის გამო მუდამ საჭირო ხდება სადამოჟნო კედლების უფრო და უფრო ამაღლება, „მფარველობითი სისტემა“ იქცევა „აღმკრძალავ სისტემათ“. ყველა ეს აუტანელ ტვირთათ აწვება ადგილობრივ მომხმარებელთ, რადგან, ბაჟების მეოხებით იძულებულნი არიან უზომოთ გადიდებული ფასი აძლიონ საქონელში. მატულობს საერთო სიდუხჭირე; და, რაც უფრო საყურადღებოა, მთავრობის გადამეტებულ „მფარველობის“ წინააღმდეგ, ამხედრებულია თვითონ ბურჟუაზიის მოწინავე და შეგნებული ნაწილი. ამათ ლიტერატურასა და პრესაში ხშირათ ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს: „ის გარემოება, რომ ჩვენ თვით ჩვენ სახლშიაც კი უღონონი ვართ გაეუმკლავდეთ უცხოეთის კონკურენციას, საკმაოთ მოწმობს მთავრობის სავაჭრო-სადამოჟნო პოლიტიკის ავკარგიანობას; იგი ნათლათ მოწმობს, რომ გადაჭარბებული მფარველობა ხელს უწყობს მხოლოთ მრეწველობის უკან ჩამორჩენას და სარგებლობის ნაცვლათ ვნებას იძლევა. ფაქტი ჩვენ თვალ წინ არის. მაშინ, როდესაც უცხოეთის მრეწველნი, დაყრდნობილნი თავიანთ თავზე, მუდამ ფხიზლათ სდარაჯობენ თავის ინტერესებს და მუდამ იმის ცდაში არიან, რომ არავითარი ახალი გამოგონება მათ არ გამოეპაროთ, ჩვენში სადამოჟნო ტარიფების მაღალი კედელი გვართმევს იმ სტიმულებს, რომელიც მრეწველობას მუჯლუგუნსა სცემს და წინ ეწევა გაუმჯობესება-განვითარების გზაზე“.

ეს ბურჟუაზია კარგათ ხედავს, რომ უცხოეთის კონკურენციასთან გასამკლავებლათ და საერთაშორისო ბაზარზე ჯეროვანი ადგილის მოსაპოვებლათ, საჭიროა ტექნიკის განვითარება და წარმოების გაიაფება. ეს კი ითხოვს შინაური ბაზრის გაფართოვებას, ე. ი. ადგილობრივ მცხოვრებთა მსყიდველ ძალების ამაღლებას, ნაცვლათ სადამოჟნო კედლების ამაღლებისა, დაუსრულებლივ. გაღატაკებულ ხალხისა და დაცემულ მეურ-

ნეობის გამოსაკეთებლათ კიდევ საჭიროა მთელი ბიუროკრატ—თვითმპყრობლურ მმართველობის ძირიანათ შეცვლა და სხ. დასძინეთ ისიც, რომ ძველი რეჟიმის დროს როგორც ყველაფერი, ისე სავაჭრო-სადამოწონო პოლიტიკაც კეთდება კანცელარიულათ, შინაურულათ და ნათლიმამურათ. „კანცელარია“ თუ მრეწველთა ერთ ჯგუფს, ანუ რომელსამე საზოგადოებრივ წრეებსა სწყალობს, სამაგიეროთ მეორეებს იმდურებს, მას თუნდა გულითაც სურდეს, ყოველთვის არ შეუძლიან კარგათ დაინახოს მთელი ბურჟუაზიის ინტერესები, და თუ დაინახავს კიდეც, არ შეუძლიან ბურჟუაზიის ყველა ნაწილები მოარიგოს. ადრე თუ გვიან, აქ აუცილებლათ წინ დგება წარმომდგენლობითი მართვა—გამგეობის მიუცილებელი საჭიროება.

დიახ, ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ეკონომიური პოლიტიკა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობასა და მეურნეობას საპყრობილე კედლებათ გადაექცა, მძიმე ხუნდებათ დაეკიდა მის განვითარებას. ამიტომაც, მწვავე უკმაყოფილება მოედო როგორც მემამულეებს, ისე მთელ ბურჟუაზიას. ამიტომაც—როგორც ვწერდით ჩვენს უკანასკნელ წერილში—„ბურჟუაზია ამხედრდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან მისი წადილია დაანგრიოს „კედლები“, ხელთ იგდოს სახელმწიფოს სადავეები და თვითონვე აწარმოოს უფრო მოგებიანი და სარფიანი სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკა“.

აი, მთელი ის აზრი, რომელსაც ჩვენ წინა წერილში გამოვთქვამდით. აქედან სრულებითაც ის არ გამომდინარეობს, ვითომ დღეს „რუსეთის კაპიტალიზმი ებრძვის მფარველობითი სისტემას“, როგორც ეს წარმოუდგენია „ეკალს“. „მომგებიანი და სარფიანი სავაჭრო პოლიტიკა“ ხომ უეჭველათ თავისუფალ ვაჭრობას არ იგულისხმებს, ცხადია, „ეკალის“ პუბლიცისტი ამაოთ შეწუხებულა.

* *
*

ეხლა გადავიდეთ პოლემიკის უფრო საინტერესო ნაწილზე.

აქ „ეკალი“ს „არმადა“ გამოჰკიდებია „ჩვენი კვალის“ „ნაციონალიზმით“ დატვირთულ ნავს, რათა ამ უკანასკნელს ნება არ მისცეს მარქსიზმის წმიდა წყალში კონდრაბანდათ გაატაროს თავისი საქონელი. ამ მიზნით, „ეკალის“ მეომარნი ჩვენს წერილებს ცალკ-ცალკე ნაწილებათ ჰკუწავენ, მის აზრებს ცალკე დებულებათ ასხვავენ: ფლოტის უფროსი იძლევა კამანდას: „მორევში ამოვხინწოთ ნამდვილი აზრი—ავტორის (ე. ი. ჩვენი) უმთავრესი დებულებები და გამოაქვთ ასეთი „ჩონჩხი“: „1) ქართველ ნაციის ადამიანთა საგრძნობელი რიცხვი სცხოვრობს სპარსეთ-ოსმალეთში.

2) ნაციის რაოდენობას კი დიდი გავლენა აქვს კაპიტალისტურ წეს-წყობილებაზე“. ნამდვილათ „ჩვენ კვალში“ ეს „დებულება“ ასეა გამოთქმული: „კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებში ნაციის რაოდენობას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიურათ, არამედ აგრეთვე იდეიურათაც“. ჩვენ მიზანში ამოღებული გვქონდა სწორეთ იდეიური მხარე.

3) კაპიტალიზმის განვითარება ააყვავებს და აღორძინებს მთელ ქართველ ნაციის ძალებს“.

„4) საერთოთ ქართველი ერის აღორძინება—გაძლიერება წინ წასწევს მუშათა საქმეს“.

გაზ. „ეკალი“ გახარებული თვისი „ნადავლით“ გაიძახის „აი, ასეთია ის ჩონჩხი,... აი როგორი მარგალიტი აზრები დარჩება რიყეზე, რომ კვალელების ნაწერს გადაუწერო მარქსისტულ ფრაზეოლოგიის წყალი“. მაგრამ „ეკალს“ არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა არ მოჰყავს ამ „ჩონჩხის“ დასარღვევათ, ამ ჩვენ „დებულებათა“ უარსაყოფელათ. ცხადია, რომ თვითონ „ეკალიცა“ ჰგრძნობს, ჩვენი აზრები სიმართლე და ჭეშმარიტება ყოფილა. და თუ ჩვენი „ფრაზები“ მარქსისტულია, ჩვენი „დებულებანი“ ჭეშმარიტი სამართლიანია, რაღა გინდათ, შვილოსან, რას გვერჩით, რას გვედავებით? მაკრამ „ეკალის“ პუბლიცისტი ულმობელ სახადის ანგელოზივით მოულოდნელის და სასტიკის ბრალდებით გვევლინება: „ესე იგი—განმარტავს ის ვითომ ჩვენს იდუმალ აზრს—საჭიროა ქართველი ერის გამრავლება სხვა და სხვა ქვეყნის ქართველების შეერთებით, რადგან ასეთი გამრავლება ხელს უწყობს კაპიტალისტურ წესებს“.. და მერე, ჩვენ განა ამ კაპიტალისტურ წესებზე მეტი სხვა აღარაფერი გვაქვს საზრუნავი? მაგრამ ულმობელი მოკამათე განაგრძობს: თქვენ გინდათ კაპიტალიზმის განვითარების „აუცილებელ პირობათ ქართველი ერის შეკავშირება გამოაცხადოთ და ამნაირათ მუშათა საქმესა და პანქართველიზმის შორის ხიდი გასდოთ“.

არა, „რჯულის მადლმა“, ავეთი აზრი არც ფიქრათ მოგვსვლია და არც დაგვიწერია სადმე. სხვა და სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველების შეერთება რომ აუცილებელი პირობა არ არის კაპიტალიზმის განვითარებისა, „ამას კარგათ მოწმობს დღევანდელი საქართველო, სადაც კაპიტალიზმი ვითარდება მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნული კავშირი არ არსებობს. რაც შეეხება სპარსეთსა და ოსმალეთს, აი რას ვწერდით ამაზე წინა წერილში: „ოსმალეთსა და სპარსეთში (მაშასადამე, იქაურ ქართველებშიც) კაპიტალიზმი განვითარდება, თუნდაც ქართველმა ბურჟუაზიამ საქართველოდან მათ ბოიკოტი გამოუცხადოს“. და რაკი ამრიგათ ქართველ ერის ყველა ნაწილებში მყარდება ერთ და იმავე ტიპის სოციალ-ეკონომიური ვითარება, ამით საფუძველი ეყრება ჩვენს ნაციონალ-კულტურულ (ე. ი. იდეიურ, სულიერ) გაერთიანებას. უკანასკნელი ნიშნავს ერის აღორძინებას და განვითარებაა-გამრავლებას, რაც თავის მხრივ მოასწავებს მუშათა საქმის წინ წაწევას... მაშასადამეო—დაასკვნის ჩვენი მოკამათე—„ჩვენი კვალი“ „საერთო ნაციონალურ ღმერთს ემსახურება, მას გუნდრუკს უკმევს, ის ღალატობს კლასობრივ პრინციპს და ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ გზას ადგება“.

მაგრამ, ჰოი „მართლმორწმუნეო“ მოგვისმიეთ. იმავ წერილში („ჩვენი კვალი“, № 19) ჩვენ გარკვევით ვამბობდით, რომ კაპიტალიზმის განვითარების ხელის შეწყობა არ არის სოციალდემოკრატიის პირდაპირი საქმე—რასაც ეხლა თქვენ თვითონ იმეორებთ — „ჩვენ საკმაო საკუთარი საქმე გვაქვს, ეს არის მუშა ხალხის კლასიური გათვითცნობიერება“. ცხადია, ჩვენთვის ნაცია არ ყოფილა ერთიანი მასსა; ცხადია, რომ იგი ჩვენთვისაც დაყოფილია სხვა და სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასებათ და რომ ნაციის ბრწყინვალე მომავლის გამომჭედი და მუშათა კლასიურ იდეალის განმახორციელებელი გზა არის სწორეთ კლასთა ბრძოლის განვითარება.

იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაა ნაციისა და მუშათა კლასის ინტერესთა შორის, უფრო ვრცლათ სწერდა ონი. (იხ. მისი წერილები ეროვნულ საკითხის შესახებ, „ჩვენი კვალის“ პირველ №№-ში. თუ „ეკალის“ ამხანაგები იქ გამოთქმულ აზრებს არ ეთანხმებიან, კეთილ ინებონ და დაარღვიონ. მხოლოთ მოწინააღმდეგის აზრი მოიყვანონ ხოლმე ტექსტალურათ, სიტყვა-სიტყვით და არა ჩიქორთულათ. მაშინ უფრო აშკარათ ვნახავთ, ვის ესმის სწორეთ მარქსიზმი და ვინ იტეხს კისერს მის შეუგნებელ დამცველობით.

დასასრულ, ერთი შენიშვნა. „ეკალის“ ხელმძღვანელი გვასმენს თავის მკითხველებთან, რომ „დიდმა“ ამხანაგმა ჩვენი ანი „შეუბუმბლავ“ პუბლიცისტათ მონათლაო. ვაცხადებთ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. „დანოსი“ და ისიც ყალბი „დანოსი“ რა საკადრისია?

რაც შეეხება „შეუბუმბლავ“ ოპორტიუნისტებს, ამათზე—და მათ რიცხვში უეკველათ მოჰყვება ანიც—ჩვენ შემდეგ გვექნება ბაასი. ოპორტიუნისტობა რომ პუბლიცისტურ ნიჭის დამცირებას არ ნიშნავს, ეს იცის ყველა თვალხილულმა ადამიანმა. არამც თუ შეუბუმბლავი ოპორტიუნისტი, თვით ოპორტიუნიზმის მამათ მთავარიც კი შეიძლება იყოს დიდებული პუბლიცისტი. მაგ. ედ. ბერშტეინის პუბლიცისტობას და პარტიის წინაშე დამსახურებას თვითონ კაუცკიც დიდის პატივით იხსენიებს.

ქარი ჰქრის

ქარი ჰქრის, ქარი ზუზუნებს,
თავზარს სცემს არე მარესა,
ტყე გმინავს, ტყე ილეწება,
ცრემლს აფრქვევს მწველ მდუღარესა.

ცა მოღრუბლულა პირ-ქუშად,
ვერ ვსპვრეტ მზეს მოელვარესა,
ძაძა გლოვისა ახურავს
მრავალ-ტანჯულსა მხარესა.

ყველა ქვეთინებს, ჰგოდებს, ჰკვნესს,
ყველა მოუცავს კაეშანს,
წყვდიადმა გრძნობა გათიშა,
თანამგრძნობელი არსით სჩანს.

მაგრამ ჩუ!.. ქარმა იყუჩა,
ტყე აღარ გმინავს მწარედა,
განთიადს ვხედავთ ღრუბლებ ქვეშ,
ეკვი იმედებს დანებდა.

დ. თურდოსპირელი.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

აკაკის საიუბილეო კომიტეტს ვისიც ჯერ აარსნება დართო მოაწყოს აკაკის 50 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე და კომიტეტის პროგრამა დაამტკიცა. კომიტეტის შემუშავებულ პროგრამით იუბილეიარის პატივსაცემლათ არსდება მის სახელობაზე სალიტერატურო ფონდი ქართულ მწერლებისა და სხვა მოღვაწეების დასახმარებლათ. ფონდის შესადგენათ უნდა გაიმართოს ხელის მოწერა, სალამოები და წარმოდგენები. საიუბილეო დღესასწაული მოეწყობა ავრე: გადახდილ იქნება სიონის ტაძარში პარაკლისი, შემდეგ სახაზინო თეატრში წაიკითხავენ მოლოცვებს. ამ დროს თეათტრში იქნება მგალობელთა გუნდი და ორკესტრი, რომელნიც შეასრულებენ შესაფერ ჰანგებს. საიუბილეო წარმოდგენები გაიმართება ზუბალაშვილის სახლში, ვერისა, ავჭალის ავდიტორიასა და ავლაბარში.

დღესასწაულისთვის გამოიცემა იუბილარის რჩეულილექსები და დაურიგდება ხალხს.

ადგილობრივი კომიტეტები დაარსთება პროვინციების ყველა ქალაქებსა და დიდ დაბებში.

✦ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების კომისიამ შეიმუშავა პროგრამა 27 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის, საღამისა სხვათა შორის საარტისტო საზ. თეატრში წარმოდგენილ იქნება „დედა და შვილი“, დაიდგმება ცოხალი სურათები „განდეგილიდან“, დასასრულ გაიმართება აპოთეოზი.

✦ სამხედრო სასამართლომ 30 სექტემბერს ჩამოხჩობა გადაუწყვიტა ალექსანდრე უგულაუას (19 წ.) რომელსაც ბრალდებოდა მეეზოვე ბურდალიძის მოკვლა.

სასამართლომ ამასთანავე დაადგინა, იშვამდგომლოს გენ. გუბერნატორის წინაშე, რომ სასჯელი შეუმსუბუქდეს.

✦ ახალსენაკის ხაზინაში, როდესაც გახსნეს თბილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკიდან მიღებული პარკი, რომელშიც 25 ათასი მანეთი უნდა ყოფილიყო, ფულის მაგივრათ აღმოჩნდა ქაღალდის ფულის ზომაზე გამოჭრილი უბრალო ქაღალდები.

პარკზე ბეკედი და თოკი იყო სრულიად მთელი. სად და როგორ გამოსცვალეს პარკი ჯერ გამოურკვეველია.

✦ დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ჩვენი ბელეტრისტებისა და პოეტების ნაწარმოებთა ახალი კრებული „ნიავი“ კრებულში მოთავსებულია შემდეგი ავტორების მოთხრობა-პოემები: ია ეკალაძის, შიო არაგვისპირელის, კლდიაშვილის, ივანე გომართელის, ვაჟაფშაველასი, რაზიკაშვილისა, ცახელისა, დუტუ მეგრელისა, კ. მაყაიშვილისა, თომაშვილისა და სვ. ყიფიანისა.

✦ გამოვიდა საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილ“ის VII და VIII ნომერი ერთ წიგნათ. ნომერი მდიდარია შინაარსით და სუფთათაა გამოცემული.

რუსეთში.

სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სარატოვში—ერთს.

✦ ჩამოახრჩვეს სარატოვში—ორი.

✦ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს: რიგაში—ექვსს, რეველში—ოთხს.

სიკვდილით დასაჯეს რიგაში—ერთი.

✦ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ტომსკში—ორს.

✦ სიკვდილით დასაჯეს ტომსკში—ერთი.

✦ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ელისავეტგრადში—ორს, კავკავში—ორს, დუბნოში—ერთს, პერმში—სამს („რეჩ“ 226—231).

✦ ხოლერის გაჩენიდან 27 სექტემბრამდე პეტერბურგში ხოლერით მომკვდარა 2772 სული.

✦ ვ. ნ. კოკოვცევის განკარგულებით კიშინიოვში, პუშკინის თეატრი სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოსი, გადაეცა „რუსის ხალხის კავშირს“.

✦ მოსკოვში ვექილ ქალებს ნება ეძლევათ,—დაიცონ სისხლის სამართლის საქმე მომრიგებელ სასამართლოებში.

✦ კიევის საპატიმროში მასწავლებელმა ქალმა პრისიაჟნიუკმა, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი, დასჯის წინა ღამეს თავი მოიწამლა. როგორც გამოირკვა, საწამლავი მას ფანჯრიდან მიაწოდეს. ის დაასაფლავეს ერთად, სხვა სიკვდილით დასჯილებთან.

✦ სარატოვის დედათა მონასტერში გამოაშკარავებულ იქმნა ორი შემოხვევა ობოლ პატარა ქალთა გახრწნილებისა.

✦ კიევის დრამატიულ თეატრში არაჩვეულებრივი „სკანდალი“ მოხდა: წარმოდგენის დაწყების დროს სცენიდან გამოაცხადეს, რომ თუ რეცენზენტი იარკიევი არ დასტოვებს თეატრს, წარმოდგენა არ შესდგებაო.

✦ 25 სექტემბერს მოსკოვის სამოსამართლო პალატაში დაიწყო მაქსიმალისტთა საქმის გარჩევა. საქმე სწარმოებს დახურულ კარებში. ბრალს სდებენ 83 კაცს. მათ შორის არის ვიღაც 50 წლის ქ-ნი ეფრონი, ყოფილ მინისტრის დურნოვოს ნათესავი, სამასი მოწამეა. საბრალმდებლო ოქმი შეიცავს ოც დაბეჭდილ თაბახს. საბრალმდებლო მასალა შეიცავს 24 სქელ ტომს. საქმე გასტანს სამ კვირას...

ოსმალეთი.

როგორც სომხურ გაზ. „მშაკ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სომეხ რევოლიუციონერებს აქვთ თავიანთი საკუთარი ოფიციალური ბიუროები და თავისუფლათ მოქმედებენ. თავისუფალი სიტყვა მრავალ ხალხს იზიდავს ეკლესიებში, სადაც მხურვალე სიტყვებს ამბობენ გამოჩენილი რევოლიუციონერები. ამას წინათ სტამბოლის ერთ-ერთ ეკლესიაში მიტინგი იყო გამართული. ჰნჩაკისტების პარტიის სტამბოლის კომიტეტს ორატორათ მიეწვია სახელოვანი რევოლიუციონერი მოღვაწე და ჰნჩაკისტების თეორეტიკოსი ბ-ნი საპაჰ-გიულიანი.

კრების თავმჯდომარეთ იყო სასუნის (სომხეთი) 1894 წლის აჯანყების გმირი, დიდი მურადი, რომელსაც ურიცხვი ხალხი მიეგება აღელვებულ ტაშის ცემით და ოვაციებით. საპაჰ-გიულიანმა ილაპარაკა ოსმალეთის რევოლიუციის, ერების სოლიდარობის და ჰნჩაკისტების მიმართულების შესახებ. ორატორმა აუხსნა ხალხს, რომ „არსებობს ორი ევროპა. კაპიტალისტური ევროპა, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება ჩვენ სამშობლოს ინტერესებს. მას სურს, რომ არსებობდეს ობსოლიუტური ოსმალეთი, რადგანაც მაშინ დაუბრკოლებლივ შეუძლიან ექსპლუტაცია გაუწიოს მას და სისხლი სწოვოს. და არსებობს ჟორესების და ბებელების ევროპა, რომელიც მზათ არის ბრძოლის ველზე გამოვიდეს კაპიტალისტურ ევროპის წინააღმდეგ ჩვენის ინტერესების დასაცავათ“. შემდეგში ორატორი აღიარებს, რომ ოსმალეთის ყველა ერნი შეერთებულ ძალით უნდა ებრძოლონ იმ მთავრობას, რომელიც პირველათ დაეცემა ოსმალეთს და უნდა დაიცვან ოსმალეთის ხელუხლებლობა. „ყველა ერს თითოეულად უნდა ქონდეს **შინაგანი თვითმართველობა**, რომლის შემდეგ მას განცალკევების მისწრაფება აღარ ექნება, არამედ ყოველ ძალას მოიხმარს საერთო იმპერიის კეთილდღეობის და ბედნიერებისათვის“,

შემდეგში თათრულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა ვექილ ხოსროვიანმა ეფენდიმ და დაწვრილებით განმარტა ჰნჩაკისტების მოღვაწეობა და აუხსნა მათი პროგრამა. მესამე ორატორათ გამოვიდა ქურთების კომიტეტის წევრი ბადრხან-ბეი, რომელსაც სწავლა-განათლება პარიზში მაუღია. *) მან უკეთესათ დაიფასა ჰნჩაკისტების მოღვაწეობა და თავისი სიტყვა დაამთავრა ასე: „ჰნჩაკისტების პარტია იყო, რომ იმდენი მსხვერპლით და

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ოსმალეთის ქურთების კომიტეტი მუშაობს ჰნჩაკისტების პარტიასთან ერთათ, რადგანაც რევოლიუციონური განათლება ქურთებს მიუღია ჰნჩაკისტებთან და მათ ლიდერების ხელმძღვანელობიდან გაწვრთნილან.

ოცის წლის წამებით ჩვენ გვამცნო თავისუფლების მნიშვნელობა. გაუმარჯოს ჰნჩაკისტების პარტიას და ჩვენ რევოლიუციონერ მასწავლებელთ". ხალხმა ორატორები ტაშის კვრით და ოვაციებით დაჯილდოვა.

სპარსეთი.

—:—

თავრიზიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 30 სექტემბერს, სამი დღის გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ, შაჰის მომხრე უბანმა დავაჩმა, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში სასტიკათ ებრძოდა რევოლიუციონერებს, დაჰყარა იარაღი და ოთხი ზარბაზნით დაემორჩილა სათარ-ხანის მომხრეთ. აგრეთვე დაემორჩილენ უკანასკნელი უბნები—სურგაბი და შიშკილანი. რეაქციონერების ბელადები მირზა-შიტი, მირზა-ჰასანი, მირზა-ქერიმი, რაჰიმ-ხანი და შუდჟა-ნიზამი გაიქცენ.

დავაჩის უბნის აღების შემდეგ, რევოლიუციონერებმა, ხალხთან ერთათ, ექსპროპრიაცია უყვეს რეაქციონერთა საკრებულოს დარბაზს, მირ-გაშიბის ქონებასა და შაჰის მამულების გამგის მირზა-რაფის ქონებას. რეაქციონერთა საკრებულოს დარბაზს ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს. მთელი თავრიზი რევოლიუციონერთა ხელშია. აგებენ ახალ-ახალ სიმაგრეებს და ამაგრებენ პოზიციებს.

გალკანეთი

—:—

ოსმალეთში ძველი რეჟიმის შენგრევისა და თავისუფლების დროშის აფრიალების შემდეგ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე პოლიტიკური ცა ერთობ იღრუბლება და იქუმშება. მოსალოდნელია ახლო მომავალში ბალკანეთი სასტიკი ომის ასპარეზათ გახდეს. შესაძლებელია ოსმალეთს მოუხდეს შეტაკება ავსტრო-ჰუნგრეთსა და ბოლგარიასთან, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ეს ომი გადაიქცეს საერთაშორისო ომათ. ამისთვისაა, რომ მთელი განათლებული ქვეყნის ყურადღება ბალკანეთკენაა მიქცეული და გულის ფანცქალით მოელიან ბალკანეთის კითხვის გადაწყვეტას. ევროპის პრესა გაცხარებული აკრიტიკებს ავსტრო-ჰუნგრეთის მოქმედებას. ბევრი იმ აზრისაა, რომ ბოლგარიას არ შეეძლო სხვანაირათ მოქცეულიყო. რატომ უნდა ეძლია ხარკი ოსმალეთისათვისო, მაგრამ ამავე დროს დასძენენ, რომ ბოლგარიამ ამისთვის ვერ აირჩია შესაფერი მომენტიო; ბოლგარიის მოქმედებას თუმცა ასე უყურებენ, მაგრამ ავსტრო-ჰუნგრეთის მოქმედებას კი სასტიკათ ჰკიცხავენ, რადგან ამით მან დაარღვია ბერლინის ტრაქტატი და შეურაცხყო ის სახელმწიფოები, რომელთაც ხელი უწერიათ ამ ტრაქტატზეო. ინგლისი და საფრანგეთი თხოულობს ტრაქტატის დაურღვევლობას, რუსეთი წინადადებას აძლევს ევროპის სახელმწიფოებს, რომ მოწვეულ იქნეს კონფერენცია ბერლინის ტრაქტატის გადასაშინჯათ. გერმანია და იტალია ხმა გაკმენდილია. აშკარაა რაღაც იდუმალი შეთანხმება უნდა იყვეს ავსტრო-ჰუნგრეთსა და მათ შორის. ბოსნია-ჰერცოგოვინაში, რომელიც თავის საკუთრებათ აღიარა ავსტრო-ჰუნგრეთმა, სერბიასა და ოსმალეთში იმართება ავსტრო-ჰუნგრეთის წინააღმდეგ დემონსტრაციები და მიტინგები, სასტიკათ ჰკიცხავენ ავსტრო-ჰუნგრეთისა და ბოლგარიის მოქმედებასაც.

ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორი თავის მანიფესტში ჰპირდება ბოსნია-ჰერცოგოვინას კონსტიტუციასა და მოქალაქობრივ უფლებებს, მაგრამ ის ვერ იმეტებს ვერც ისეთ თავისუფლებას და საარჩევნო უფლებას, რომელიც აქვს თავის სახელმწიფოში. ბოსნია-ჰერცოგოვინა ოსმალეთის რევოლიუციის ზეგავლენით ამოძრავებული სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ავსტრო-ჰუნგრეთან შეერთებას.

ახალგაზდა ოსმალნი ჯერჯერობით წინ დახედულათ მოქმედებენ და უთითებენ ევროპის სახელმწიფოებს იმაზე, რომ ბერლინის ტრაქტატი არამც და არამც დარღვეული არ იქნესო, მხოლოთ ოსმალეთის პროვინციებში გამართულ აუარებელ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ხალხი მოითხოვს ბოლგარიასა და ავსტრო-ჰუნგრეთთან ომს და მითვისებულ პროვინციების დაბრუნებას. ავსტრო-ჰუნგრეთი არწმუნებს ოსმალეთს, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში მე იმდენი მიშრომნია, რომ ეხლა ის მე მეკუთვნისო, მხოლოთ სანდჯაკი შეადგენს შენს კუთვნილებას და ჩემს ჯარს ვუბრძანე კიდეც გავიდეს იქიდანო.

თუ ომი მოხდა ოსმალეთს შეეძლება ბრძოლის ველზე გაიყვანოს ერთ მილიონ ნახევარი ჯარის კაცი. ამთგან შვიდასი ათასი ევროპიულათ გაწვრთვნილ-შეიარაღებულია, მხოლოთ დანარჩენების გასაწრთვნელათ ყოველივე ზომებია მიღებული) ავსტრო-ჰუნგრეთს—ორ მილიონი ორას ორმოცი ათასი, ბოლგარიას— ორმოცდაათი ათასი.

ასეთია ბალკანეთის მოპირისპირე სახელმწიფოთა საბრძოლო ძალა. თუ როგორ გადაწყდება ბალკანეთის აწეწილ-დაწეწილი საქმე ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

სტუდენტთა მოძრაობა.

წერილი ოდესიდან.

მკითხველს უკვე გაგებული ექნება, თუ რა გზას დაადგა რუსეთის უნივერსიტეტების მოსწავლე ახალგაზდობის ერთი ნაწილი სახალხო განათლების მინისტრის ბ. შვარცის ცირკულიარების ზეგავლენით. პირველათ, როგორც მოსალოდნელი იყო, პეტერბურგის უნივერსიტეტმა აღამაღლა ხმა. აქ პროფესორების კოლეგიამ ღირსეული მსჯავრი დასდო ბ. შვარცის პოლიტიკას და თითქმის ერთხმათ გადასწყვიტა ბრძოლა მის წინააღმდეგ, მაგრამ მოსწავლე ახალგაზდობამ ჩვეულებისამებრ წინ წასდგა ნაბიჯი და 13 ენკენისთვეს კრება მოახთი-

ნა, რომელსაც 2557 კაცი დაესწრო. კრებამ ხანგრძლივი მსჯელობა იქონია სამინისტროს ახალ მიმართულებაზე და, რა დარწმუნდა მის მავნებელ ხასიათში, გადასწყვიტა ბრძოლა, დარღვეული უფლებების აღსადგენათ. ამავე კრებამ გადასწყვიტა უნივერსიტეტის დახურვა და შეიმუშავა შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) მეცნიერების და სწავლის თავისუფლება;

2) სრული თავისუფლება სტუდენტების კრებებისა, ორგანიზაციებისა და წარმომადგენლობისა;

3) ქალების მიღება უნივერსიტეტში და % ნორმის მოსპობა ებრაელთათვის;

4) დაუბრკოლებელი მიღება უნივერსიტეტში ყველა საშუალო სასწავლებლების დამთავრებულ ყმაწვილების (რეალური სასწავლებელი და კორპუსები);

5) დატოვება ახლათ შემოღებულ სისტემის (предметная система);

6) გაუქმება შესავალ ბილეთებზე ფოტოგრაფიულ სურათებისა;

7) გაუქმება კეთილსაიმედობის მოწმობის მოთხოვნისა უნივერსიტეტში მიღების დროს.

როგორც ხედავთ, მოსწავლე ახალგაზდობა აკადემიურ ნიადაგზე სდგას, მათი მოთხოვნები მოკლებულია პოლიტიკურ ხასიათს, რაც დიდ იმედს გვაძლევს მოსწავლე ახალგაზდობის გამარჯვებისას. უკვე დაწყებულ ბრძოლაში. პეტერბურგის უნივერსიტეტს ხმა მისცეს მოსკოვის, ხარკოვის, იურიევის უნივერსიცეტებმა და სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმაც. სულ სხვაფერ არის საქმე ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში. აქ კრების გამართვა შეუძლებლათ მიაჩნიათ, ვინაიდან ახლათ არჩეულ რექტორის ბ. ლევაშოვის და პროფესორთა კოლეგიის უმრავლესობის მიმართულება ვერასოდეს ვერ შეურიგდება საზოგადოთ წინსვლას და კერძოთ—მოსწავლე ახალგაზდობისას. ამ დღეებში აპირებენ სამხედრო წესების მოხსნას და მაშინ, ექვს გარეშეა, პროფესორების კოლეგიის პოლიტიკაც შეიცვლება.*) უკეთეს პირობების მოლოდინში აქ გამოვიდა ფურცლები, რომლითაც სტუდენტებს აუწყებენ კოალიციონური საბჭოს დაარსებას და ურჩევენ იხელმძღვანელონ მისი განკარგულებით.

არიფი.

*) სამხედრო წესების გაუქმების შემდეგ უნივერსიტეტში დაბრუნდება ოთხი პროფესორი, რომელნიც მარცხენა მხარეს დაიჭერენ.

დ ე დ ა ს.

დედავ, ამას გთხოვ და გაშაგონე:
ტრემლს ნუ მანახვებ, ნუდა დამტირი,
ითრემ იტოდე, შენსა ტრემლებსა,
ვეღარ ავიტან მწარედ დასჭიდი...
ნურც შეგაშინებს ბორკილთ ჟღრიალი,
რითაც შენ შვილსა სტკივავ ფეხები;
უკანასკნელათ, ჩემო დედილო,
გადაგეხვევი, გეშეშვიდობები!..
ან კი ტრემლებსა რით შეიკავებ,
როს შვილსა გგლეჯენ მშობელს ხელიდან,
და შორს, შორს სადაც ბნელ მადროში
აქ მოგიელავენ, უნახავს შენგან!
გახსოვს, დედილო, ძუძუს რომ გებინდი,
რომ ფუფუდაბინობდი მე შენ კალთაში?
რას ითქვრებდი, ჩემო ძკირფასო,
თუ გამისრდენ ცივ ქვეყანაში?..
ოი, დედილო, უკანასკნელათ
მომეცი ნება გადაგეხვიო;
მხოლოთ ამას გთხოვ—გადახვევის დროს
ჩემ გულზე ტრემლი არ დაანთხიო!..
რათ დაგტეხდი შენ ამ ბორკილებს,
ამის ჟღარუნზე ხომ არ იქცევი?..
ან, ხომ არ ფიქრობ, დაგდეწვა ამას
და სიცა არის მეტ გაგიქცევი?
ოი, დედილო, ნეტავი მართლა
ჩვენ დანგრეულ სახლს კიდევ შეგხედო,
კიდევ ფუცქირო ბრწყინვალე მზესა
და თავისუფლათ გავინავარდო...
მაგრამ ეს, დედავ, ოცნებაა არის;
როს ფეხთ ბორკილი სასტიკათ ხუთავს,
თავისუფლებს ვერ ვედრისები,
სანამ მას ძალა მოლათ არ დადეწვავს.
ეს ძალა არის დარიბთა მკლავი,
შეერთებული მტკიცედ კავშირითა;
მხოლოთ ეს დადეწს მტანჯველთ ბუდეს,
როს დაეტეკავს თვის მრისხანე ხმით.
აწ კი მშვიდობითა, ჩემო დედილო!
ნუდარ მოვალ ჯერ შენსა შვილსა;
კიდევ ამას გთხოვ, ნუ დამანახვებ
დამუჭანარ სახეზე მღუდარე ტრემლს, ..
ოი, განგებავ, მომასწარ ამ დღეს
და გამაგონე ეს მუქარე ხმა,
როს კიდითა-კიდე მთლათ შეარეთოს
ანზეირებულმა, ტანჯულმა ხალხმა.

ვანელი ბაგრატ

მაღალს წრეში.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი“ № 19).

მოქმედება მეოთხე.

(სცენა წარმოადგენს მდიდრულათ მორთულ ზალას ნესტორის სახლში).

ერთი. როგორა ჰფიქრობთ, ჩვენი პატარძალი კოხტა გამოვიდა, არა?

მეორე. არა უშავს რა, თუმცა უკეთესი რომ იყოს, აჯობებდა. (ცინიან და აქეთ-იქით იხედებიან).

მესამე. როგორ არა გრცხვენია! ძალიან მოხდენილი ქალია.

მეოთხე. ჩვენ ხომ არაფერს ვამბობთ, მაგრამ რა-

ჩილს უფრო ლამაზი ცოლი შეეფერებოდა. ის იმისთანა ლამაზია, რომ ლიზას სულ ჩაჩრდილავს.

მეხუთე. Ахъ! какой онъ красавецъ.

მექვსე. Но за то и большой шалапай!

პირველი. რა იმის ბრალია! ქალებმა გაასულელეს. ისე ეხვევიან, როგორც ბუზები თაფლს.

მეორე კარტის თამაში და ლოთობა ძალიან ჰყვარებია.

ᲔᲡᲐᲛᲔ. А всетаки онъ душка! (იცინიან). მე არაფერი მაქვს წინააღმდეგი, რომ იმისთანა ლამაზი ქმარი შემხვდებოდეს. Я поклонница мужской красоты. (კარი გაიღება და შემოვა ექვსი ვეზირი ყვავილების თაიგულებით. ხელს ართმევენ ერთმანერთს)

ერთი ვეზირი. ეს ერთათ ერთი შემთხვევაა, როდესაც ქალებს უფლება გეძლევათ, მამაკაცები აირჩიოთ. ჩვენ ველით თქვენს განაჩენს.

ერთი და. თუ შეიძლებოდეს, ცოტახანს კიდევ მოიცადეთ. (ოთახისაკენ უთითებს),

მეორე ვეზირი. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ფარული კენჭის ყრისა.

დები (ერთათ). არა, არა! მე თანხმა არა ვარ, მე თანხმა არა ვარ. არ გვინდა!

ერთი და. (ხელებს გაშლის) ხომ ᲮᲔᲓᲐᲐᲗ! ისა სჯობია, რომ თქვენის ნებით გაბრძანდეთ.

ვეზირები. (თავს უკრავენ; დებს) ვასრულებთ თქვენს ბრძანებას (გდიან).

ერთი და. აგრე! ყოველთვის ასე უნდა აასრულოთ მამაკაცებმა ჩვენი ბრძანება (იცინიან).

მეორე და. აბა, ამოვირჩიოთ ჩვენი კავალერები, მაგრამ ალექსანდრეს არავის არ დაგანებებთ (შეჯგუფდებიან და ისე ლაპარაკობენ, რომ არა ისმის; ხან იცინიან და ტაშს უკრავენ.

ერთი და (კარებისაკენ მიდის). მაშ დაუძახო?

დები (აჩერებენ). მოიცა ჯერ. (ისევ შეჯგუფდებიან, ლაპარაკობენ. იცინიან. შემდეგ ერთი და კარებისაკენ წავა).

ერთი და (კარს გააღებს). მობრძანდით! ყმაწვილები შემოდიან. დები გადიან და ყოველი მათგანი თითოს ვარდს აბნევს გულზე, ისინიც თაიგულებს გარდასცემენ.

ერთი და. ახლა ჩვენ ყველანი ლიზასთან წავიდეთ და აქ გამოვიყვანოთ (მიდიან. ზალაში ვეზირები რჩებიან.

ერთი. (მეორეს) თუ ძმა ხარ, დამები გავცვალოთ.

მეორე. რათაო? მე ჩემის დამით ძალიან კმაყოფილი ვარ.

პირველი. რაღა მე ამომირჩია იმ დაწყევლილმა.

მესამე. რა უშავს, კაცო? ცოლათ ხომ არ ირთავ

მეოთხე. არა თუ, ძმა ხარ, გვერდში რომ მოგიწვეს, დაიწუნებ? (იცინიან).

პირველი. გვერდში ჩვენი პატარძალიც რომ მოიწვეს, იმასაც არ დავიწუნებ (იცინიან).

რამდენიმე. (ერთათ) ჩუმათ, შეოჯახქორო, გაიგონებს ვინმე (აქეთ იქით იხედებიან).

ერთი. აბა ამოჰყაჭეთ ლიუსტრის ფული.

მეორე. რა დროსია,—განა მერე ვერ მოასწრებ?

პირველი. არა, ჩემო ძმაო, მერე ყველა აქეთ იქით დაიფანტებით და მე დამირჩება გადასახდელათ. ამოჰყაჭეთ, ამოჰყაჭეთ. (აგროვებს ფულს. ამ დროს დებს შემოჰყავთ ლიზა ჯვარის დასაწერათ გამზადებული. ვეზირები ღიმილით თავს უკრავენ; ერთი ხელზე ჰკოცნის).

ერთი ვეზირი. ჯერ ხელზე კოცნა არ შეიძლება, —ჯერ დამა არ არის. (სიცილი და საერთო მხიარულება. ლიზა შუაში დაჯდება; დები აქეთ იქით მოუსხდებიან. შამოვა ნესტორი და ოლღა, გრიგოლი და მარიამი).

ოლღა. შენკი შამოგეევლე, ჩემო ანგელოზო! შენს გვირგვინს მოვესწარი, შვილო! (შამოეხვევა, ჰკოცნის და ორივე სტირის).

ნესტორი. დედაკაცო, რამ გადაგრია? ეკლესიიდან რომ მოვლენ, მაშინ უნდა დალოცო, ახლა რა დროის დალოცვაა!

ოლღა (ატირებულის ხმით). მაშინაც დავლოცამ და ახლაც. დედის ლოცვას დრო არ გააჩნია. (ლიზა ცრემლებს იწმენდავს).

ნესტორი. ერიჰაა! ამ ქალებმა რომ თავისი არ გამოიურიონ, ხომ არ შეიძლება! (სხვებს) ერთი ჰკითხეთ, რა აქვს სატირალი ან ერთსა და ან მეორეს? (ვეზირებს) უნდა გავათენოთ ამაღამ, ყმაწვილებო. რას იტყვით?

მარიამი (თავისთვის). ეჰ, ასეთია დედის გული!

ვეზირები. გავათენოთ, კნიაზ ნესტორ, გავათენოთ.

ერთი ვეზირი. გავათენებთ კი არა, აქვე უნდა დავადამოთ.

ნესტორი (სიცილით). Вотъ это понимаю! რამდენი ხანია, აღარ დავმთვრალვარ და ამაღამ ძალიან უნდა დავთვრე, ძალიან! (მოსამსახურეს შემოაქვს ტელეგრამა, ლიზას აძლევს და გადის).

ლიზა (ხსნის და ჰკითხულობს). Поздравляемъ съ тайнствомъ брака, цѣлуемъ, Григорій, Тасо, Маро.

ნესტორი. ტელეგრამა ვახშამზე უნდა წაიკითხოთ. (შემოდის მოსამსახურე. შემოაქვს ორი ტელეგრამა, ლიზას გადასცემს და გადის).

ლიზა (ერთს გახსნის და ჰკითხულობს). Поздравляемъ со счастьемъ. Нина, Леванъ. (ხსნის მეორეს). Шлемъ лучшія пожеланія новобрачнымъ. Владиміръ, Елена. (შემოდის მოსამსახურე ტელეგრამით).

ნესტორი. ვა, ეს ხალხი რამ გადარია? ჯვარის წერას აღარ აცლიან? (ლიზას) თუ ღმერთი გრწამს, ახლა ნუ კითხულობ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. (მოსამსახურეს) შენ ერთათ მოაგროვე ყველა ტელეგრამები და ვახშამზე მოიტანე.

ლიზა (მოსამსახურეს). ეგ მოიტა აქ! (მოსამსახურე ტელეგრამას აძლევს).

ნესტორი (ლიზას ტელეგრამას გამოჰგლეჯს). არა, შვილო, ჯერ ჯვარი უნდა დაიწეროთ და ტელეგრამები მერე იკითხოთ. Это кощунство საიდუმლოება ქორწინებისა დიდი საიდუმლოებაა და მისი აბუჩათ აგდება ცოდვაა. (ტელეგრამას მოსამსახურეს გადასცემს და ხელს გაუქნევს. მოსამსახურე გადის).

ლიზა. ჩვენ ვარც ვიგდებთ აბუჩათ, მამაჩემო!

ნესტორი. მაშ ეს რა არის? ჯერ ჯვარი არ დაგიწერიათ და ტელეგრამების კითხვა ვის გაუგონია! ისინიც,—სულელები! ვერ მოასწრებდენ, ასე ადრე რომ გამოუგზანიათ? (შემოდის მოსამსახურე.)

მოსამსახურე. (ლიზას) კნიაგინა! ვიღაც ქალი გახლავთ და თქვენი ნახვა უნდა.

ლიზა. შემოვიდეს.

მოსამსახურე. მარტო თქვენი ნახვა უნდა.

ლიზა (მიიხედ-მოიხედავს). იმ ოთახში შეიყვანე და ვნახავ (ადგება).

ნესტორი. არა. (დაჯენს შვილს.) შენ აქედან უნდა გაგისტუმროთ ეკლესიაში. (მოსამსახურეს) აქ შემოვიდეს ვიღაცაა, ჩვენი რას ერიდება!

მოსამსახურე. მატრო კნიაგინა მინდაო.

ოლღა. ჩვენ გავიდეთ აქედან და ნახოს.

ნესტორი. იქნება ვინ ოხერია, რა ვიცი?

ოლღა. ალბათ ღარიბი ვინმეა, სათხოვრათ იქნება მოსული და ჩვენი რცხვენია. მაშ სხვა ვინ იქნება!

ნესტორი. სწორეთ აგრე უნდა იყოს. (ოლღას ხელს მოავლებს) ეს ჩემი დედაკაცი ცოტა მომიბერდა, თორემ სოლომონ ბრძენს არ დაუვარდება. მაშ ჩვენ ვავიდეთ. (გადიან ყველა, ლიზა დარჩება და მოსამსახურე.)

ლიზა. (მოსამსახურეს) დაუძახე ვიღაცაა. (მოსამსახურე გადის და რამოდენიმე ხანს შემდეგ შემოდის ვუალში ანეტა, ვუალს აიწევს, ლიზას შეაჩერდება, შემდეგ ხელს ჩამოართმევს და თვალებში შეჩერებია).

ლიზა. დაბრძანდით.

ანეტა. არა მიშავს რა. (ხელს გაუშვებს) თქვენ უთუოთ გიკვირთ, რომ უცხო და უცნობი ქალი კარზე მოგადექით ამ დროს. (ხმა აუკანკალდება) არ მინდოდა, გეფიცებით, დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს, მაგრამ ველარ შევსძელი. დავიტანჯე. (ტირილი აუვარდება, დაეშვება მუხლებზე, ლიზას კალთაში თავს ჩაუდებს და ტირის).

ლიზა. (დაბნეული) ნუ სტირით, დამშვიდდით. მე არაფერი არ მესმის. (ანეტა ხელებზე ჰკოცნის ლიზას, ლიზა ხელებს აცლის) რათა, რათა. რა საჭიროა?

ანეტა (ხელებში ხელებს მოჰკიდებს და დაჩოქილი შეჩერებია). მე ყოველისფერი მას ვუმსხვერპლე, მას შევსწირე; ჩემი სიწმინდე, ჩემი პატიოსანი სახელი, ჩემი უმანკოება. დედამამამ შემიძულა და დამივიწყა, დები და ძმები აღარ მახსენებენ, ნაცნობები და ნათესავები თვალს მარიდებენ, საზოგადოება დაცინვით მიცქერის; პატიოსანს ოჯახში მე არ მიშვებენ; ყველგან და ყველა მე ხასას, სხვის საყვარელს მეძახის, მაგრამ მე ყველაფერი ავიტანე, ყველაფერი დავთმე -ჩემი სინდისის წინაშე მხოლოთ მე ვარ პასუხის მგებელი, სხვა არავინ. მე არავინ არ მინდა. დეე, რაც უნდათ, ის იფიქრონ ჩემზე, ოღონდ ის იყოს ჩემი, მხოლოთ ჩემი. შენ მდიდარი ქალი ხარ, წარჩინებული დედამამის შვილი. ბედნიერების კარი შენთვის ყველგან და ყოველთვის ღია არის და იქნება. მე კი უმწეო ვარ, უბედური და შემიბრალეთ, ნუ წამართმევთ არჩილს, ნუ წამართმევთ. შენ ისეც ბედნიერი ხარ, მე კი ყოველისფერი დავკარგე, ყოველისფერს გამოვეთხოვე იმის გულისათვის, იმის მეტი მე აღარავინ და აღარასფერი აღარ დამრჩენია აქ ქვეყნათ. გევედრებით, შემიბრალეთ- (ტირის და ხელებზე ჰკოცნის).

ლიზა. მე არასფერი არ მესმის. ვინ არჩილია?

ანეტა. არჩილი, ჩემი არჩილი, ჩემი, ჩემი. მაპატიეთ, მაპატიეთ, რომ ამ დროს მოვედი თქვენთან, მაგრამ მე მხოლოთ ახლა გავიგე, რომ ჯვარს იწერთ ჩემს არჩილზე და გამოვიქეცი თქვენთან გაგიფეებული, რომ იქნება ვპოვო თქვენში ადამიანი. მე მას ჩემი სიქალწულე მივეცი, ჩემი ხორცი, ჩემი სული და გული. ნუ გამომგლეჯთ ხელიდან ჯვარდაწერილი არა ვართ, მაგრამ მე მაინც იმისი ცოლი ვარ, ცოლი, იმისი ხასა თქვენს ენაზე—და მალე მისი შვილის დედა ვიქნები. (ლიზა დაიკივლებს და ისტერიკული ტირილი აუვარდება. კარი გაიღება და შამოცვინდებიან დები, ვეზირები, სტუმრები, ნესტორი, ოლღა, მარიამი, გრიგოლი.)

ოლღა. (მივარდება ლიზას) შვილო, შვილო! არიქა, დოხტური, დოხტური! მიშველეთ, წყალი! (გულს უხსნის. წყალი მიაქვთ და ასხურებენ ლიზას. ანეტა განზე დგას დარცხვენილი და შეწუხებული და გაშტერებული შეჩერებია ყველას.

ნესტორი. (ანეტას) ახლავე გეთრიეთ აქედან, თორემ ახლავე პოლიციაში ამოგაყოფიებთ თავს. თქვე უნამუსო, თქვენა!

ანეტა. (დაიბნევა) მაპატიეთ, მე თვითონ არ მესმის... მე სრულებით არ მინდოდა.

დები და ვეზირები. დაიკარგეთ ახლავე აქედან! (მიეფევნებიან და გარეთ გაგდებენ).

ნესტორი. (უკან გაჰყვება კარებში და იქიდან ისმის მისი ყვირილი) შე უნამუსო, შე კახპა, შე ქუჩის მაწანწალავ შენა! (შემობრუნდება აქლოშინებული) მე მაშინათვე მიგრძნო გულმა, რომ სა!იკეთოთ არ იყო აქ მოსული, მაგრამ ვიღას დაუჯერეთ! ამისთანა დროს უცნობი სახლში შემოსაშვები არ არის.

ლიზა. (ტირილით დედას, რომელიც გვერდში უზის) დედა ჩემო! არ შემიძლია, მე ჯვარს ვერ დავიწერ, ვერა, ვერა. არასფრის გულისათვის (ტირის დედის გულზე მიყრდნობილი).

ოლღა. რაებს ლაპარაკობ, შკილო? დამშვიდდი, გული დაიწყნარე. ატირებული თვალებით რომ ეკლესიაში მიხვიდე, ვინ რას იტყვის?

ლიზა. არა, დედა! მე ეკლესიაში არ წავალ, მე ჯვარს არ დავიწერ, არ შემიძლია, არა.

ნესტორი. რას ლაპარაკობ, შვილო! გონს მოდი, ჭკუა კი არ უნდა დაჭკარგო.

ლიზა. არ შემიძლია, მამაჩემო, არა! იმას საყვარელი ჰყოლია, შვილიც (ტირის).

ნესტორი. ეს სულ ჩვენი მტრების მოხერხებულია, მაშინათვე მიგრძნო გულმა. აი სად დაგვიმიზნეს! მაგრამ ვერა, შენმა მზემ!

ოლღა. დაწყნარდი, შვილო! სხვების ჭორებს როგორ უნდა აჰყვე?

ლიზა. არა, დედა ჩემო! ჭორი კი არა სრული სიმართლეა,—ის ქალი არჩილის საყვარელი იყო.

ნესტორი. საყვარელი კი არა, ის კიდევ! ეგ ჩვენ ვინ მოგვიგზავნა, ძალიან კარგათ ვიცი. ძალიან კარგათ და თუ კაცი ვყოფილვარ, სამაგიეროსაც გადავუხდი (გადის გულ მოსული).

ლიზა. კარგი, მამა! მე ხომ ბავშვი არა ვარ. არავის არ მოუგზავნია. თვითონ მოვიდა, როგორც არჩილის საყვარელი. მაგას გარდა იმას სხვაც ბევრი ეყოლებოდა და ახლაკ ეყოლება ხასები და საყვარლები.

ნესტორი. თუნდა აგრეც იყოს,—მერე რაო? ბერი ხომ არ არის?! უცოლო კაცს არასფერი არ ეძრახვის.

რომელი ვაკაცი გაჩერდება—სნეულისა და ღატაკის მეტი—რომ ცოლის შერთვამდე ქალს არ მიეკაროს? იხეთი რამე უნდა სთქვა, რომ ჭკუაში იყოს მოსასვლელი. სანამ ცოლს შეერთავდი, რამდენი საყვარელი მე გამომიცვლია, დიახ, სწორეთ მე,—მაგრამ აბა დაეკითხე დედაშენს: მიყვარდა და მიყვარს ეგ თუ არა? ჰმ! (დადის).

გრიგოლი. ხა, ხა, ხა, ხა! მე მართლა რაღაც მეგონა. მაღალი წრის ყმაწვილ კაცს არც კი შეშვენის, რომ ცოლის შერთვამდე ორი-სამი საყვარელი მაინც არ გამოიცვალოს (ნესტორს ხელს გაუყრის, ყურში ელაპარაკება, იცინიან და დადიან).

ერთი და. არა გრცხვენია, ლიზა? ჭკვიანი ქალი ხარ და ჯორებსა და სისულელეებს კი აჰყოლიხარ. (შემოეხვევიან ლიზას გარშემო, ელაპარაკებიან ჩუმათ, იცინიან. ლიზაც ნელ-ნელა იღიმება).

ერთი და. აბა, პუდრი! (რამდენიმე და გარბის ოთახში, მოაქვთ პუდრი და პირსახოცი. ლიზას თვალებს უწმენდენ და პუდრს აცხებენ სახეზე).

მეორე და. Прелесть! (იცინიან).

ოლღა. ვენაცვალე ჩემს გოგოს (აკოცებს ლიზას. ამდროს კარი გაიღება და შემოვა არჩილი. თან შემოჰყვებიან ამხანაგები. (შეიქნება ხმაურობა).

ნესტორი. კაცო, სად დაიკარგე აქამდის!

არჩილი. განა დავიგვიანე? (ყველას ხელს ართმევს. ოლღას ხელზე ჰკოცნის და მარიამს, შემდეგ ლიზას ხელზე ჰკოცნის, ხელს გაუშვებს და თვალებში შეჩერებია) თითქოს კნიაჟნა მოწყენილია!

ნესტორი. ქალებს ამგვარი ჩვეულება აქვთ: ჯვარის წერის წინ უსათუოთ განგებ უნდა მოიწყინონ! (სიცილია).

ერთი ვეზირი. ახლა კი დროა, რომ წავიდეთ. ეკლესიაში უთუოთ გვიცდიან. (ჯერ ლიზა გაჰყავთ, შემდეგ არჩილი მიდის და ყველანი უკან გაჰყვებიან. დარჩება ნესტორი და ოლღა).

ოლღა (ხელებ აპყრობილი მიაცილებს კარებამდე და შემდეგ ზეცისაკენ იხედება). ღმერთო, შენ შეაბერე ერთმანერთს.

ნესტორი. Да! საიდუმლოება ქორწინებისა დიდი საიდუმლოებაა! (ფარდა).

(დასასრული).

განი.

თვალ საჩინო სწავლება სკოლებში.

(მაბრძელება. იხ. № 16).

ასეთმა სრულიად ახალმა შკოლის მიზანმა შესცვალა თვით სასწავლო საგნების სახელმძღვანელთა ხასიათი, კ. უშინსკის წიგნები, რომელთაც საფუძვლათ დადებული ჰქონდა პრინციპი პედაგოგიური ბუნებრივი განვითარებისა, განდევნილ იქმნენ შკოლებიდან და ამ წიგნების ნაცვლათ შემოღებულ იქმნა ისეთი ტლანქი სახელმძღვანელონი, რომელთა შინარსი მხოლოთ ლიტერატურულ—ზნეობითი ხასიათს ატარებდა. უმთავრეს შკოლის მოვალეობათ შეიქმნა გრამატიკის და წერა-კითხვის სწავლება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწინავე ერობათა ერთმა ნაწილმა დაამთავრა შკოლის გეგმის შემუშავება და გაითვალისწინა კიდევაც ახლო მომავალში საყოველთაო პირველ დაწყებითი სწავლის შემოღების განხორციელება,—მთავრობის და საზოგადოების ყურადღება მიექცა მაშინ თვისებითი მხარეს შკოლისას და მასთან თვალსაჩინო სწავლებასაც.

თვალსაჩინო სწავლების აღღორძინება ეკუთვნის კერძო პირთა ერთ წრეს, რომელმაც გამართა პეტერბურგში მოძრავი მუზეუმი თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოთ (учебныхъ пособій) და ვიატსკის საგუბერნიო ერობას, რომელმაც იკისრა გამომცემლობის გახსნა სპეციალურად ასეთ სახელმძღვანელოთა დასამზადებლათ და შეღავათიან ფასებში მათი გავრცელება სკოლებში.

ვიატსკის გამომცემლობის დაარსებას, თან მოჰყვა პეტერბურგის ძველი ფორმების აღღორძინება და მათი მოქმედების განახლება. ამ ჟამათ, უმთავრესათ ვიატსკის ერობის წყალობით, თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოთა შეძენა სკოლებისათვის ძლიერ გაადვილებულია, მათი ღირებულება მინიმუმამდე არის თითქმის დაყვანილი. ასეთმა იაფობამ მისცა ძლიერი ბოძვი მათ გავრცელებას.

კურსკის საგუბერნიო ერობამ, ისარგებლა რა ვიატსკის გამომცემელ სახელოსნოს ნაწარმოებით და პეტერბურგის მუზეუმის ჩვენებით პირველმა შეიმუშავა გეგმა თანდათან მიეწოდებინა თავიანთ შვილებისათვის აუცილებელი საპირო თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა კოლექციები, ღირებული სკოლისათვის არა ნაკლებ 12 მანეთის, 1202 წელში იმავე კურსკის ერობამ შეიმუშავა პროექტი მოძრავი რაიონული მუზეუმების დაარსებისა. ამასთან ერთად კურსკის ერობა ღებულობდა ყოველ გვარ ზომებს თვალსაჩინო მეთოდების გავრცელებისას მასწავლებელთა შორის კოლექციების დამზადების საქმეში სასკოლო მუზეუმებისათვის. ამ მიზნით კურსკში ხშირათ იმართებოდა პედაგოგიური კურსები და ამ კურსებზე ასწავლიდნენ პრაკტიკულათ სხვა და სხვა მარტივ საგნების გაკეთებას ბუნების მეტყველებიდან.

კურსკის საგუბერნიო ერობასთან მოწყობილი, მუდმივი სახელოსნო თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოთი დასამზადებლათ. ამ სახელოსნოს გამგემ მრავალი სპეციალური ექსკურსია მოახდინა მასწავლებლებთან ერთათ კოლექციების შესაგროვებლათ. 1202 წელში ტვერის ერობამაც მიაქცია თავის უმთავრესი ყურადღება თვალსაჩინო მეთოდის დაფუძნებას თავიანთ სკოლებში, და კურსკის ერობის მგალოთით გამხნევებულმა შეიმუშავა ვრცელი გეგმა თავის მოქმედებისა ამ საქმეში, 1903 წ. ამ ერობამ დაიარსა უკვე თავისი სპეციალური სახელოსნო.

სხვა გუბერნიის ეროებმაც მიაქციეს ყურადღება ამ ფრიად საჭირო მხარეს სკოლის საქმისას და მხნეთ შეუდგნენ მოძრავ ცენტრალური მუზეუმის დაარსების მოწესრიგებას.

მაგრამ მიუხედავათ ასეთი მეცადინეობის, უმთავრესი ნაწილი საერო სკოლებისა დღესეც ვერ არის ამ მხრივ უზრუნველ ყოფილი. არის ისეთი ადგილები, სადაც მთელი მაზრის ყველა სკოლებზე მოდის, მაგალითად, 2 გეოგრაფიული რუქა და ერთი გლობუსი.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ სკოლების შესახებ, რომელთაც არავითარი თვალსაჩინო სახელმძღვანელო არ მოეპოვებია? პასუხი მარტივია—ვიმეცადინოთ, ყოველი ღონის ძიება ვიხმაროთ მათ შესაძენათ. აზრი შესახებ ასეთ სახელმძღვანელოთა დიად საჭიროებაზე ძლიერ ნაკლებათ არის გავრცელებული საზოგადოებაში. ვინ, თუ არა მასწავლებელმა, უნდა იზრუნოს მის გასავრცელებლათ! ვინ უნდა იყოს, თუ არა მასწავლებელი ასეთი სიმშპატიური იდეის მქადაგებელი და გამავრცელებელი? მასწავლებელთა მოვალეობას შეადგენს ყოველი ღონის ძიება იხმაროს თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა შესაძენათ. ეს უკანასკნელი ისეთივე საჭიროა, როგორც ქარტები, კლასის დაფები და სხვა...

ჩვენ საქართველოს სამინისტრო და სამრევლო სკოლების შესახებ ლაპარაკიც არა ღირს ამ მხრივ.... ცოტა უკეთ არის დაყენებული საქმე იმ სკოლებში, რომელთაც ქალაქის თვით მართველობები ინახავენ თავიანთ ხარჯით.

ვ. ობჩელი.

პროვინცია.

ქ. ოზურგეთი. 22 სექტემბერს, ორშაბათს, საღამოს ხუთ საათზე, თოფების საშინელი გრიალი გაისმა. ყველა შიშმა შეიპყრო და თავზარდაცემული იქითაქეთ გარბოდ-გამორბოდა. თოფების მწყობრი სროლა დიდხანს გრძელდებოდა. შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ საპყრობილეში პატიმრები დახოცესო, მარა როგორც გამოირკვა, ციხიდან გაქცეულიყო პოლიტიკური ტუსაღი მირიან ჭანტურიშვილი. ამ ამბავმა ყველა გააკვირა, რადგან მას ხელსა და ფეხებზე ბორკილები ედო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ის გაიქცა თურმე იმ დროს, როდესაც ფეხის ალაგთან ღამის ბოჭკა გასასუფთავებლათ მიიტანა მან და ერთმა კიდევ სხვა პატიმარმა. ის შეახტა მესერს, მარა ორივე მესერი მოუგჯა; ის მეორე ჯელ შეახტა მესერს და კიდეც გაიქცა. დარაჯები უკან დაედევნენ. ჭანტურიშვილმა გაირბინა ასი ფეხის ნაბიჯი და ის იყო უნდა გადამხტარიყო კიდევ მაღალ მესერზე, რომ მას დაახალეს თოფები და იქვე მოკლეს. გამოძიებამ აგრეთვე აღმოაჩინა, რომ მას ბორკილები წინდაწინ გაეჭრა და, რომ არავის შეემჩნია, კანაფით შეეკრა. გამომძიებელისა და ექიმის შემოწმების შემდეგ ის სააპატიმროში გაგზავნეს. მკვდარი მშობლებს არ მისცეს და პოლიციამ თითონ დაასაფლავა.

გრ. პუპიშვილი.

— —

დ. ჭიათურა. შეწყდა მარგანეცის წარმოება და ქიათურამაც დაღლილ-დაქანცულივით დაიძინა.

ადგილობრივმა მუშებმა დიდის ვაივაგლახით აირჩიეს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა და მათ კი ტკბილად სძინავთ.

წელიწადია თითქმის რაც ამ სახალხო უნივერსიტეტისთვის თავდადებულნი მოღვაწეობდნენ. შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და ივლისში მიიღეს წესდება, დამტკიცებული გუბერნატორის მიერ. მაგრამ რა? წესდება შენახულია სუფთათ ბ-ნ გამგეების ხელში, და ლექციების კითხვაზე კი არავინ ზრუნავს წევრები ბევრი ჩაეწერა და თითქმის საწევრო ფულიც ნახევარს გადახდილი აქვს, მაგრამ გამგეობა ლექციების კითხვაზე არაფერს ფიქრობს და ნუ თუ გამგეობის დანიშნულება ისაა, რომ მხოლოთ წესდება შეინახოს და სხვა არაფერი?

სირცხვილია ასეთი დაუდევრობა და დროა თვალები გამოახილოს გამგეობამ და თავის მოვალეობა სინდისიერათ შეასრულოს. **„ვანელი ბაგრატა“**

— —

ს. დიდიჯიხაიში. (ქუთ. მაზრა). ერთ დროს სიცოცხლით სავსე ჯიხაიში, რომელმაც თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ, თავისუფლების მოსაპოვებლათ, დღეს გულ შემზარავ სურათს წარმოადგენს. კვირცხლი, ფხიზელი, ამაყი სოფელი, წელში მოხრილა, გასტეხილა, თითქოს გაჭირობია მომავალის იმედი, ისევ ძილისთვის მიუცია თავი, ისევ სხვისი მაჩანჩალა, ბრძანების ამასრულებელი გადაქცეულა. თუ ერთ დროს ხალხი იყო ბატონ-პატრონი, თვით ხალხი უდგა დარაჯათ თავის შინაურ საქმეებს და მშვენივრათ აწარმოებდა, დღეს რეაქციონერთა და შავ-ბნელ ძალების სამფლობელოთ გადაქცეულა და უსიტყვოთ შერიგებია თავის პიროვნების ფეხქვეშ გათელვას. ან კი რა უნდა ქნას? საკმარისია მხოლოდ მათ წინააღმდეგ სიტყვის თქმა, რომ „ბუნტოვჩიკათ“ მოგნათლონ და... ამ ვაჟბატონების მოქმედება, არა ერთხელ გაუკიცხავს ხალხს და გამოუტანია დღის სინათლეზე, მაგრამ არიან კიდევ მეორე ჯურის, ეგრედ წოდებული სოფლის სასამართლოში დაჭახრაკებული გაიძვერა მლიქვნელები, რომლებიც გაცილებით მეტი საშიშოა ვინემ პირველები, რადგან გზა არეული ხალხი არ უკვირდება მთ მოქმედებას. ამ ნაირათ, ხალხის მიერ დაგმობილი ძველ, დრო-გასულ ზნე ჩვეულებას აჩეჩებენ ხალხს ხელში და გინდა თუ არა, უნდა იწამო.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ჯიხაიშში დაარსდა საზოგადო ქსენონი, რომელსაც განაგებდა ოთხმოცდა ცხრამეტი წევრისაგან შემდგარი კომიტეტი; მაგრამ ამ კომიტეტმა ისე კარგათ აწარმოვა საქმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქსენონი გაკოტრებულათ გამოაცხადა, გამოკეტა მისი კარები და შენობა ბანკს გადასცა.

გასულ წელს ბანკის გამგეობამ, რადგან ქსენონის შენობა მას დარჩა, მანვე იკისრა ისევ ქსენონის განახლება. მოიწვია თავისი წევრები და აირჩია ახალი კომიტეტი, შეისყიდა აღგილობრივი კერძო აფთიაქი, შეიმუშავა წესდება, მოიწვია ექიმი, ფარმაცევტი, ფერშალი და, ამნაირათ ისევ გაიჩარხა საქმე; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ქსენონი ერთნაირათ არ უნათებს ყველას. ბანკის წევრები წამალს ღებულობენ დაკლებულ ფასებში, მხოლოთ არა-წევრები მომატებულში. ცხადია, აქ მეტი სარგებლობა ეკნებათ, შეძლებულთ, რადგან ბანკის წევრები უმეტესათ შეძლებულებისაგან შესდგებიან.

თუ ქსენონი ასეთ პირობებშია, კარგი დღე არც სამკითხველოს დასდგომია. რეაქციის სუსხს ვერც ის გადაურჩა, სულ მიანგრა-მოანგრია იქაურობა, დაიკარგა რაც წიგნები იყო, ბევრი წაიღეს, ბევრიც დასწვეს, გამგემ თავი მიანება. ამნაირათ, სრულიად გაპარტახდა იქაურობა. ხშირათ სატუსაღოს მაგიერობას ასრულებდა ჩვენი „ბიბლიოთეკა“. ამ ცოტა ხანში აღმოჩნდენ გულ შემატკივრები და შეუდგენ ისევ მოწყობას. აირჩიეს კომისია, გამგე და მგონი მოაგვაროონ საქმე. საჭიროა მეტი მხნეობა, მეტი ენერგია გამოიჩინოს გამგეობამ, ამ ფრიად საჭირო კულტურული საქმისთვის. აგრეთვე ყველა გარეშე პირთ, ვისაც არ გაჰკრობია ადამიანობა და გრძნობა ყველამ დახმარება უნდა აღმოუჩინოთ. კარგი იქნება, სამკითხველოს შენობა მოაშორონ სოფ. სასამართლოს თუ გსურთ სამკით. შეასრულო სთავის დანიშნულება, რადგან იქ ისეთი ხალხი იყრის თავს რომელიც ჭვის თვალით უცქერის სამკითხველოში მოსიარულეს.

ელისაბედიშვილი.

სომეხთა შორის.

გასულ 21 სექტემბერს სომეხ გრიგორიანთა საეპარქიო უფროსის სასახლეში მოხდა სრული სომეხთა კათოლიკოსის ამომრჩეველ, საეპარქიო დეპუტატთა არჩევნები. მთელ ოთხი საათის კამათის შემდეგ დეპუტატათ ამოარჩიეს ბ-ნი სამსონ ჰარუთიუნიანი, რომელიც „დაშნაკცუტიუნის“ კანდიდატი იყო. მონაწილეობას იღებდენ მშაკისტები, ეპისკ. ორმანიანის მომხრენი და დაშნაკცაკანები.

ამათი საკათოლიკოსო კანდიდატია ეპისკოპოსი იზმირლიანი, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა იერუსალიმიდან, სადაც გაგზავნილი იყო ოსმალეთის მთავრობის მიერ.

ამ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდენ ჰნჩაკისტები და ყველა მტკიცე მემარცხენე ელემენტები. მშაკისტების საკათოლიკოსო კანდიტატია იგივე იზმირლიანი, თუმცა საზოგადოება ყოყმანობს, რომ დაშნაკცაკანებიც იმას ასახელებენ კათოლიკოსათ, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, შემდეგში ხმა მისცენ ეპისკ. სურენიანს, რომელიც იქნება მათი ყმა და აუსრულებს ყოველ მოთხოვნილებას და პარტიულ კაპრიზს. ეპისკ. ორმანიანის მომხრენი არიან ასე წოდებული ნორ-დარაკანები. ეპისკ. ორმანიანის მხურვალე მომხრეა ბ-ნი სამსონ ჩარქეზიანი, რომელმაც კვირა დღის კრებაზე ფაქტებით დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მის შესახებ ნათქვამი ყველა დანაშაულობანი უსაფუძვლოა. შემდეგ ორატორმა ცნობილ ბელეტრისტმა ბ-ნ აჰარონიანმა დაასურათა ეპისკ. იზმირლიანი და ძალიან აქო იგი, როგორც უსათუოდ ენერგიული, განათლებული პირი და დაავალა კრებას, რომ ამოარჩიონ დეპუტატათ ის პირი, რომელიც თავის ხმას მისცემს ეპ. იზმირლიანს.

საკათოლიკოსო არჩევნები მოხდება ოქტომბრის 30 ეჩმიაძინში, სადაც თავს მოიყრიან. ყველა ქვეყნების დეპუტატები. ჩვენის აზრით კათოლიკოსათ ამორჩეული იქნება ეპისკ. იზმირლიანი, რადგანაც მისი მომხრენი არიან არა მარტო მშაკისტები და დაშნაკცაკანები, არამედ მთელი ოსმალელი დეპუტატები, რომელთაც 90 მეტი ხმა აქვთ, როდესაც რუსეთის, სპარსეთის და სხვა ქვეყნების დეპუტატების ხმა ერთად 40-ზე ნაკლებია.

ამას წინათ, „ჩვენი კვალის“ № 14 მოთავსებული იყო ერთი ცნობა სტამბოლის „დაშნაკცუთიუნის“ აღგილობრივი ორგანიზაციის მოწოდების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „დაშნაკცუთიუნის“, რომელიც მოქმედებს ოსმალეთში 18 წელიწადია, იხმარს მთელ თვის ძალას, რომ გაამაგროს ოსმალეთში პოლიტიკური თავისუფლება, ჩვენ ვიყოდეთ თავისუფლება ჩვენივე სისხლით და დავიცავთ იმას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ჩვენთვის იგი არავის არ უბოძებია; არავის არა აქვს უფლება წაგვართოს ის“.

რადგანაც ქართველი მკითხველები საკმაოდ გაცნობილი არ არიან, თუ რას წარმოადგენს „დაშნაკცუტიუნი, ანუ რა მონაწილეობა მიუღია ამ ბოლოს დროს და ამ 17 წლის (და არა 18 როგორც ნათქვამია) განმავლობაში, ამისათვის ჩვენ საჭიროთა ვცნობთ გამოვაქვეყნოთ, რომ „დაშნაკცუთიუნს“ ამ ბოლოს დროს გამოცხადებულ კონსტიტუციის წინათ, ოსმალთა ჯარისკაცთა შორის მოძრაობაში **არავითარი მონაწილეობა არ მიუღია** და როგორც თვითონ ახალგაზდა ოსმალთა დიდმა ნაწილმა არაფერი იცოდა კონსტიტუციის გამოცხადების შესახებ, ისევე და უფრო უმეტესათ არაფერი იცოდა „დაშნაკცუთიუნმა“ ამის შესახებ. ზემოხსენებული 17 წლის მათი მოღვაწეობა ის ყოფილა, რომ რამდენ ჯერმე ოსმალეთის სომხების ჟლეტის საბუთი გამხდარა (1904 წ. სასუნის „აჯანყების“ დროს, ამ დემაგოგიურ პარტიასპქონია მხოლოთ და მარტო 17 ჟანგიანი ბერდანკა) და რამდენჯერმე გაუმეორებია ის ოპერაციები, რომელიც იხმარა ოსმალეთში ჰნჩაკისტების პარტიამ, 1896 წლამდე. შეიძლება ბ-ნ დაშნაკცაკანებმა სთქვან,

რომ ისინი გასულ წელს პარიზში შეუერთდენ ახალგაზდა ოსმალებს. ამის შესახებაც ვიტყვით, რომ პარიზის ახალგაზდა ოსმალთა ის ნაწილი, რომელთან ერთათ დაშნაკცაკანებმა კონგრესი გამართეს, არა თუ მონაწილეობას არ იღებდა ამ მოძრაობაში, არამედ - არც კი იცოდა თუ რა ხდებოდა ილდიზ-ქიოსკში კონსტიტუციის შესახებ. ფაქტებით დავამტკიცებთ, რომ მათი „მოღვაწეობა“ სომეხ ერისათვის უზომოთ მავნე ყოფილა როგორც ოსმალეთს, ისე კავკასიასა და სხვა ადგილებშიც. აი, რასა სწერს ამის შესახებ, სხვათა შორის, იმავე დაშნაკცაკანების ახალი მოძღვ ახალგაზდა ოსმალთა ერთი ორგანო—„იკდამი“, რომელიც გამოდის სტამბოლში თათრულს ენაზე: „როდესაც ჩვენი საოდავი მამულისშვილები (სომხები) დამარცხდენ, გაიფანტენ, მათი წამქეზებელთაგან არც ერთი არ დაეხმარა, ვიდრე ოსმალებმა არ აიფრიალეს თავისუფლების დროშა და მით საშუალება არ მისცეს ყველა სამშობლოდან გამორიცხულ სომხებს, გაეშალათ თავიანთ სამშობლოს დროშა... მხოლოთ ოსმალების ამგვარ მოქცევით, თვითონაც თავისუფლების სიკეთე იგემს“. აი ხალხს თვალებში ნაცარს როგორ აყრიან ჩვენი „დიდი თქვა“ დაშნაკცაკანები. სიმართლე ის არის, რომ ოსმალელ ნაციონალისტების მანიოვრი არავინ იცოდა, არავინ ფიქრობდა, რომ ამის ავტორები, ახალგაზდა ოსმალების ერთი ნაწილი, მოიწვდინებდა ამ გაკრეჭილ კონსტიტუციით ჯერ-ჯერობით რბილი ბალიში ამოედო ოსმალეთში მცხოვრებ სხვა და სხვა ერებისთვის, მაგრამ ამ რეცეპტმაც არ უშველა, და დღეს მთელი მაკედონელები, არაბები, სომხები და სხვანი უკმაყოფილონი არიან და იქნებიან, ვიდრე დაკმაყოფილებას არ მიიღებენ და ნაციონალურ თვითმართველობას არ მოიპოვებენ.

ახალგაზდა ოსმალების ნაციონალიზმის ფანატიკობა ეხლა უფრო რელიეფათ გამოირკვა, როდესაც ბოლგარიის წინააღმდეგ ომსა ქადაგებენ. აი თუ რაგვარ „რევოლიუციონერებს“ შეუერთდა „დაშნაკცუტიუნი“, და როდესაც ჭნჩაკისტები გასძახოდენ, რომ „ესენი სულ ერთიანათ ნაციონალისტები არიან და მათი მისწრაფებაა, ყველა სხვა ერები შეადგულონ ოსმალებთან“, იმ დროს ჭნჩაკისტებს ნაციონალისტებს და ერების სოლიდარობის წინააღმდეგ მოქადაქეთ ასახელებდენ. ახალგაზდა ოსმალებს კარგათ ასურათებს მათივე, მიტინგებზე და პრესაში ყოველ დღე თქმული, შემდეგი სიტყვები, „ბიზ ჰაფიმზ ოსმანი იქ, რაიც ნიშნავს: „ჩვენ ყველანი ოსმანები, ესე იგი თათრები, ანუ ოსმანი შვილნი ვართ“. ეს რამდენიმე სიტყვა უფრო უკეთესათ ახასიათებს ჩვენ ცრუ სოციალისტ დაშნაკცაკანების მეგობრებს. ვისაც ყური აქვს სმენისათვის—გაიგებს.

Artemius.

დ ე დ ა.

როგორც აღმზრდელი.

(წერილები მუშა ხალხის დედებისადმი).

თარგმანი გერმანულიდან **სვ. კანდ—ისა.***)

9.

ბავშვს უნდა უპასუხო ყოველ შეკითხვაზე.

ხშირათ მომხდარა ხოლმე, რომ შენ ბავშვისთვის დაგიყვირია: „საქმე გააპირე ერთი შენც ამდენი კითხვებით“! და მართლაც შენ ხშირათ არ იცი როგორ მოიქცე; ეს არის უპასუხე ერთ კითხვაზე და ბავშვი კიდევ რაღაც ახალს გეკითხება, შენ ვერც კი წარმოგიდგენია თუ როგორ ახერხებს ბავშვი სულ ახალ-ახალი კითხვები წამოგიყენოს ზედიზედ. ბავშვმა კი არაფერი არ იცის შენი უმწეობისა. ის ხედავს შენში დედას, რომელმაც მისცა მას ყველაფერი, რაც მას აბადია—სიცოცხლე, ენა, სასმელ-საჭმელი. ბავშვი ფიქრობს, დედისაგან ყველაფრის გაგება შეიძლებაო. ნუ დაურღვევ ბავშვს ასეთ რწმენას დედისადმი! შენ შეგიძლია ბავშვს თამამათ გამოუტყდე, რომ ესა თუ ის არ იცი და ასეთ შემთხვევაში მამასთან, ან უფროს ძმასთან უნდა გაგზავნო ხოლმე. მაგრამ არასოდეს, არავითარ შემთხვევაში, შენ არ უნდა დაუხშო ბავშვს ცოდნის წყურვილი მოუთმენლობით, სიმკვახით და გაიცხვით, ვინაიდან ბავშვის კითხვებში მხოლოდ ცოდნის წყურვილია გამოხატული და სხვა არაფერი. თუ ბავშვი რასმე გეკითხება, უპასუხე ყველაფერზე, რამდენათაც შენ თვითონ შეგიძლია. შენ ამით აჩქარებ ბავშვის სულიერ განვითარებას და ამასთანავე აორკეცებ მის შენდამი სიყვარულს.

10.

არ უნდა დასცინო შენს ბავშვებს.

გაიცხვა და დაცინვა ერთი და იგივე არაა. ხშირათ, მოსწრებულ სიტყვებით ან თვალთა გამომეტყველებით კეთილის მდომი გაიცხვა, კარგი თანაშემწეა აღზრდის დროს. ბავშვები ძლიერ გაურბიან დაცინვას, არ უნდათ დასცინოთ მათ, ისინი ცდილობენ თავი დაიფარონ დედ-მამის დაცინვისაგან, ამისთვის საქმესაც გულმოდგინეთ და ბეჯითად ასრულებენ. გაიცხვა კი არ არის კეთილის მდომი. ის მეტათ არა სასიამოვნო და მწარე თანაშემწეა. დაცინვა გამოგვადგება მხოლოდ დიდებთან ბრძოლაში. აქ ხშირათ ძალიან საჭიროა არის ხოლმე. ის მჭრელი და საშინელი იარაღია მოწინააღმდეგებთან საბრძოლველათ. მაგრამ შენ ბავშვებთან კი დაცინვა ყოველთვის უადგილოა. ისინი არ არიან შენი მოწინააღმდეგენი, პირიქით ისინი შენი მეგობრები უნდა იყვენ. თუ კი ეს ასე არის, მაშინ ეს დანაშაულობა შენ უფრო გაწყვეს, ვინემ შენს ბავშებს. მეგობრის დაცინვა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მეგობრობა დაირღვევა, მაშ ნუ დასცინებს შენს ბავშვებს, შენს პაწია მეგობრებს!

11.

ითამაშე შენს ბავშვებთან.

კარგი დაგემართოს, კარგი რჩევაა, იფიქრებ შენ. საიდან ვიშოვო დრო, ჩემ ბავშვებთან სათამაშოთ? ვითამაშო კი არა, ძლივს ვშოულობ დროს უსაჭიროესი ოჯახის საქმეები და აუცილებელი დედის ზრუნვა შევასრულო. რასკვირველია, შენ მართალი ხარ და არც მე ვთხოულობ, რომ მთელი საათობით უსარგებლოთ იტრიალო და იჩხირკედელაო. მაგრამ, შემთხვევით კი დაგრჩება თავისუფალი დრო რამდენიმე წუთი, საათის მეოთხედი. აკი ხშირათ მოსძებნი ხოლმე საკმაო თავი-

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 17.

სუფალ დროს შენი მეზობლის ქალთან სალაზღანდაროთ. აი, ეს მეოთხედი საათი შესწირე შენს ბავშვებს. იმღერე, იხტუნე მათთან ერთათ, ეთამაშე „სტუმრობია“, „ქორობუდობია“ და ყველაფერი, რაც ბავშვებთან ითამაშება. აბა, ერთი შეხედე მაშინ შენ ბავშვებს, სახე რა რიგ უბრწყინავენ! თამაშობას დიდათ ემატება ღირსება თუ მათთან ერთათ დედაც თამაშობს! რა მადლობელი არიან ისინი მაშინ, როცა მათში შენც ტრიალებ, ხოლო თუ შენი დრო გავიდა, უთხარი ეს მათ და აუხსენი, რომ ეხლა ისევ სამუშაოთ უნდა წახვიდე. თუ არ წახველ, საჭმელი არ გექნებათ. კობაც გახეულ შარვალით დარჩება და ფესიკოც გაგლეჯილ ჩულქებით ირბენს. ამას ისინი გაიგებენ და თუმცა კი ძალიან დანაღვლდებიან, მარა გაგიშვებენ; ხოლო ისევ გამხიარულდებიან, როცა შენ მეორეჯერ მოხვალ და შენებურათ შესძახებ: დედა მოდის თქვენთან სათამაშოთ:

— ქორო, ბუდეს დაგინგრევ!
— მე წიწილას წაგართმევ...

ჰენრიხ შულცე.

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

(პასუხათ თბილ. სახალ. უნივერსიტ. ოსურ სექციას).

ბ-ნნო სექციის წევრებო! თქვენ მიზნათ დაგისახავთ მოუპოვოთ ბ-ნ კოჩიევს ხალხში სახელი-ნდობა და რადგანაც სიმართლე მითქვამს კოჩიევზე, ამისათვის გინდათ ჯვარზე გამაკრათ—მაწამოთ? თქვენ ამბობთ „ბ-ნი ოსი, ოსურ სექციის წინააღმდეგ მოქმედობს, არცხვენს—შეურაცხყოფას აყენებსო“. რას ნიშნავს ეს? სექციის წინააღმდეგ მოქმედება, შერცხვენა-შეურაცყოფა ხომ თვით სახალხო უნივერსიტეტის წინააღმდეგ მოქმედებას, შერცხვენა-შეურაცყოფას და მისი ანტერესების ფეხქვეშ გათელვას—ღალატს ნიშნავს? მერე რით ამტკიცებთ ამას?—„კოჩიევი დაიცავს თუ არ დაიცავს თავის თავს, ეს მისი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში თვით სექცია არის შეურაცხყოფილი, თუ ბ-ნი ოსი არა გრძნობს, რომ სექციას მიაყენა შეურაცხყოფა, სექცია აპატიებს, როგორც უვიცსო“. აკი გითხარით, კოჩიევის ვექილები ხართ მეთქი; თქვენ სექცია კოჩიევისაგან ვერ გაგირჩევიათ (ამას, როგორც თქვენი წერილი, აგრეთვე მოქმედებაც, ამტკიცებს), ბ-ნი კოჩიევი გაიმართლებს თავს, თუ არ გაიმართლებს, ეს თქვენ სულაც არ შეგეხებათ და საკვირველია. რას უნდა ვგრძნობდე ბ-ნო გენიოსებო?

თქვენ 8 სექტემბრის კრებაზე ცხარე აგიტაციას ეწეოდით, სხვა ერებს უხარიანთ რომ ოსები ჩამორჩენილი ვართ, . ყველანი ფეხს გვაჭერენო. ბ-ნი ოსი დავიდოვ-კარბელოვის პროვაკატორულ ჭორებს აყოლია, მუშებთან კავშირი შეუწყვეტიაო. ბ-ნი ოსის წერილების გამო ოსებს დაგვცინიან, თავის იდეიაზე ხელი აიღოო. ტყუილათ ნუ მობაქვთ თავი ოსების მარილათ; თქვენ ოსეთის ინტერესები კი არ გალაპარაკებთ, არამედ ბ-ნ კოჩიევთან, თქვენც გეცლებათ ნიადაგი და რომ სიმართლე არ გამოირკვეს გინდათ ოსები იხმაროთ საფარათ. ასე ხდებოდა და ხდება სხვა ერებშიაც. კარბელოვს არ ვიცნობ, მაგრამ კოჩიევის და დავიდოვის საქმის შესახებ კი წამიკითხავს სამედიატორო სასამართლოს განაჩენი, სადაც პრავაკატორობა უფრო კოჩიევს ბრალდება და თქვენ ხომ სასამართლოს კრებაზედაც დაესწარით როდესაც განაჩენი გამოიტანეს? მაშ რაღათ ცდილობთ შავი თეთრათ გაადაქციოთ?

მუშებთან კავშირის შეწყვეტას, იმაზე თუ ამბობთ, 25 მარიამობისთვეს, რომ კოჩიევის თაოსნობით არ დამიშვით სექციის კრებაზე, სექციის წევრი? რომელ წერილებზე მელაპარაკებით, მე სხვა და სხვა ფსევდონომებით მომითავსებია წერილები, რომ მიჩვენოთ, კარგს იზამთ; თუ იმ წერილებზე მელაპარაკებით, რომლითაც გეხებით კერძოთ, სექციის წევრებს, კოჩიევს და სოფლათ გაყაჩაღებულ ოსებს, მე ბევრჯელ მითქვამს თქვენთვის, რომ თქვენ ვერ წარმოადგენთ ოსეთს! იმ იდეიას, რომელზე ხელის აღებასაც მაბრალებთ, კარგს იზამთ სიტყვით არ ეპოტინებოდეთ, სიტყვით კოჩიევიც ამბობდა ს. დ. ვარო. ზოგიერთა თქვენგანი იმასაც გაყვიროდით, ბ-ნი ოსი თავის თავს ოსს არ უწოდებდა, სოფლათ მოქმედებამ დაუმტკიცა, რომ ხალხში გასაშვები არ არის, ჯაშუშია, ჯიოევებთან ხშირათ დადიოდაო. ჩემზე 1907 წელსაც ლაპარაკობდენ „ქართველ მუშებმა ქრთამი მისცეს და იმიტომ არ უნდა ჩვენ, ოსებმა რკინის გზის საქონლის სადგურები ავიღოთ „არტელადაო“. ამ სიტყვების მთქმელებსაც მოქონდათ თავი ოსეთის მარილათ. ნამდვილათ კი „არტელში“ შეიტყუილეს მუშები, ფულებიც შეუჭამეს და მოგეხსენებათ, მათ წინააღმდეგ მუშებმა ფიზიკური ძალაც იხმარეს, რა სთქვეს ჩემზე, ეს თქვენ მითხარითო.

დასასრულ, თქვენ გინდათ დაგისახელოთ ის 30 კაცი, რომლებიც 17 მაისის კრებაზე იყვენ? გაიხსენეთ როგორ თავისებურათ გააცანით ინცინდენტი! იმ ოცდაათი კაცის სახელები და გვარები, არ ვიცი და რომ იყო კრებაზე 30 კაცი, ესეც თავის დროზე გამოირკვევა, თუ გინდათ გაიგოთ რას ვეძახი ინცინდენტის თავისებურათ გაცნობას, გადაიკითხეთ თქვენი წერილი, ჩემ მიერ „ხომლის“ 28 №-ში თქვენდამი შეკითხვებზე პასუხი მომეცით და საქმე თვითონ დაგანახვებთ ამასაც: **ოსი.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ბარამაშვილი.**

განცხადებანი.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

ვ ი ნ ც „ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ს“

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

პრემიათ **პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა**

კრებულს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

ჩვენი კვალი

წასული ნომრებით წლის ბოლომდე ღირს — — **3** მან.

სექტემბრიდან — — — — — — — — — **2** „

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რედაქციაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“. ქუთათურ ხელის მომწერთ გაზეთი პრემიით დაურიგდება კანტორა „იმერეთში“

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.